გაზეთი გამოდის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

სამტრედიის მაცნე

N5 (9257) | 20 თებერვალი. 2018 წელი | ფასი 50 თეთრი

სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს სხდომა სამტრედიაში გაიმართა

2

მავნებელმა გაიღვიძა

2

ერთად ვებრძოლოთ აზიურ ფაროსანას

5

რეგულარულმა ინტელექტუალურმა ჩემპიონატმა სტარტი აიღო

სამტრედია იმერეთის ოლიმპიური კომიტეტის ინტერესის სფეროში მოექცა

10

გაიღვიძე, დრო მოვიდა!

8

მომავლის მემკვიდრეობა ინტელექტუალური ცნობადობისთვის

„ფარი" გერმანიას საქართველოს ისტორიას ცეკვით მოუყვება

6

ორშაბათის ტრადიციული თათბირი

ნინო ნანიტაშვილი

ორშაბათის ტრადიციული თათბირი მუნიციპალიტეტის მერმა, ვალერიანე ფოცხვერიამ აზიური ფაროსანას თემაზე საუბრით დაიწყო. ოფიციალური სამტრედიის პირველი პირის თქმით, სახლის პირობებში მავნებელმა გაიღვიძა და იგი თანდათან უფრო საშიში ხდება. ვალერიანე ფოცხვერია დაინტერესდა, მოსახლეობის უმრავლესობამ მიიღო თუ არა შესაწამლი პრეპარატი, რომელიც სახელმწიფომ შარშან შემოდგომაზე საჩუქრად დაარიგა.

აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის გზებსა და ადგილობრივი ხელისუფლების მზადყოფნაზე თავისი მოსაზრება გამოთქვა ნოე ივანიაძემ. მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა მობილიზებისაკენ მოუწოდა ტერიტორიულ ერთეულში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლებს. მან აზიურ ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლას სახელმწიფო უსაფრთხოების რანგში აყვანილი საკითხი უწოდა.

დაბლა გომის ტერიტორიაზე საშინელი მდგომარეობაა შექმნილი. ეს ინფორმაცია ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე ზაზა ნიკოლეიშვილმა გააჟღერა. გომის თემის ტერიტორიულ ერთეულში სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის თქმით, თუ მეწყრულ ზონაში სათანადო ტექნიკა დროულად არ შეიყვანეს და გზა არ მოწესრიგდა, საგანგებო სიტუაციაში ადგილობრივები დახმარების გარეშე დარჩებიან.

სამედიცინო მომსახურებაზე სოციალურის ბიუჯეტი წინა წელთან შედარებით 30 000 ლარით შემცირდა. სამაგიეროდ, 50 000 ლარით გაიზარდა ახალშობილთა დაფინანსება. ლევან ახობაძის განმარტებით, თუ ადრე პირველ და მეორე ახალშობილზე საჩუქრის სახით გამოყოფილი თანხისთვის სავალდებულო იყო 100-მდე სარეიტინგო ქულა, დღეის მდგომარეობით ყველა პირველ და მეორე ახალშობილზე გაიცემა 100 ლარიანი დახმარება.

სოციალურ სამსახურში 19 თებერვლის მაჩვენებლით 800-მდე განცხადებაა შემოსული, აქედან 400 განცხადება შემოსულია სამედიცინო მომსახურებასა და მედიკამენტების დაფინანსებაზე. თუ ასე გაგრძელდა, ლევან ახობაძის თქმით, შეუძლებელია ყველა იმ მოთხოვნის დაკმაყოფილება, რაც სამედიცინო დახმარებასა და მედიკამენტებზე არის ბიუჯეტში გათვალისწინებული.

მავნებელმა გაიღვიძა ერთად ვებრძოლოთ აზიურ ფაროსანას

ნინო ნანიტაშვილი

აზიურმა ფაროსანამ თავი ისევ შეგვახსენა. ატმოსფერული ტემპერატურის მატებასთან ერთად, გამოსაზამთრებლად შესულმა მავნებელმა საცხოვრებელი სახლებიდან, ფარეხებიდან, ცხოველთა სადგომებიდან და ფარდულებიდან დაიწყო გამოსვლა. სპეციალისტების აზრით მოსახლეობამ ფაროსანასთან ბრძოლა მექანიკური მეთოდებით ზემოთ ხსენებული თავშესაფარი ადგილებიდან უნდა დაიწყოს. სახლში შესულ ფაროსანასთან კი აუცილებელია მექანიკური ბრძოლა სხვადასხვა მეთოდით. მაგალითად, მტვერსასრუტით შეგროვება და განადგურება. ასევე საცხოვრებელ სახლებში, სკივრებსა და ტანსაცმელში გამოსაზამთრებლად შესული მავნებლის განადგურება.

როგორც გვპირდებიან, სახელმწიფო მიმდინარე წელსაც გააგრძელებს მავნებლის წინააღმდეგ ბრძოლას, რომლის ფარგლებში დაგეგმილია ღონისძიებების მასშტაბის გაზრდა, ასევე მოსახლეობასთან აქტიური კომუნიკაცია და ბრძოლის მეთოდების შესახებ მათთვის მაქსიმალურად ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება. მასში სურსათის ეროვნული სააგენტოს სპეციალური ტექნიკა და სპეციალისტები იქნებიან მობილიზებულები.

აზიურ ფაროსანასთან ბრძოლა გრძელვადიან პროცესს მოიცავს. სახელმწიფო სტრუქტურებთან ერთად მოსახლეობამ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს მავნებლის განადგურებაში.

სურსათის ეროვნული სააგენტოს იმერეთის რეგიონალური სამმართველოს ინსპექტორი მიხეილ სხვიტარიძე ''სამტრედიის მაცნესთან'' კომენტარში აღნიშნავს, რომ მავნებელმა წინა წელს სერიოზული ზიანი მიაყენა ჩვენს მუნიციპალიტეტს. მისივე განმარტებით, სახელმწიფო სტრუქტურებთან ერთად თუ მოსახლეობამ აქტიური მონაწილეობა არ მიიღო ფაროსანას განადგურების საქმეში, ვიდრე მავნებელი მცენარეებს შეესევა, წლევანდელი წელი გაცილებით უარესი გვექნება.

ფანტაზია, მონდომება და...

გვიანი შემოდგომა იყო, როცა გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების უფროსი, ბატონი ელგუჯა კალაძე დაგვპირდა, გაზაფხულდებოდა თუ არა, გაერთიანების თანამშრომლები მრავალი სიახლით გაახარებდნენ სამტრედიელებს.

მართალია, კალენდარული გაზაფხულის მოსვლამდე დღეებიღა რჩება, თუმცა, თებერვლის მზიანი ამინდები მაქსიმალურად გამოიყენეს გაერთიანებაში დასაქმებულებმა და...

ამ დღეებში გაკეთდა რესპუბლიკის ქუჩაზე, ასბინიანი საცხოვრებელი კორპუსის წინ ეს ლამაზი დეკორაცია, რომელსაც ძელსკამის დანიშნულებაც ექნება და შიგ ჩარგული ყვავილებისათვის ღობის ფუნქციასაც შეასრულებს. რაც მთავარია, ლამაზი ქვებით შექმნილმა დეკორაციამ ნამდვილად დაამშვენა მიმდებარე ტერიტორია.

– ჭადრები ნაყარს რომ გაზრდის, აქ ფანჩატურს მოვაწყობთ. დაბეჯითებით ვაცხადებ, რომ ქალაქში არც ერთი ხე არ მოიჭრება, თუ რაიმე მიზეზი არა აქვს. კარგია, რომ მოგეწონათ ჩვენი ნახელავი, მალე ამინდებიც გამოვა და ჩვენც წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით ვეცდებით სიამოვნება მივანიჭოთ სამტრედიელებს, ამავდროულად, მოყრძალებული წვლილი შევიტანოთ ჩვენი ქალაქის კეთილმოწყობის საქმეშიო, – გვითხრა გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების დირექტორმა ელგუჯა კალაძემ.

ფანტაზია, მონდომება და შედეგიც სასურველია.

ლევან გაბეჩავა

განცხადება

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ადგილობრივი თვითმმართველობის პროფესიული საჯარო მოხელის ვაკანტურ თანამდებობაზე – საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-საორგანიზაციო განყოფილების უფროსი – გამოცხადებულია დახურული კონკურსი.

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა კანდიდატმა საკონკურსო კომისიას უნდა წარუდგინოს განაცხადი მხოლოდ ელექტრონული ფორმით საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებ-გვერდის (www. hr. gov.ge) მეშვეობით.

დახურული კონკურსი ცხადდება საჯარო სამსახურის სისტემის მასშტაბით და გულისხმობს შესაფერისი კანდიდატის შერჩევას მოქმედი მოხელეებიდან, რეზერვში ჩარიცხული და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირებიდან, ამასთანავე, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს დახურულ კონკურსში, თუ იგი არანაკლებ 1 (ერთი) წელი მუშაობს საჯარო სამსახურის სისტემაში;

აუცილებელია, კანდიდატმა წარმოადგინოს ცნობა, რომლითაც დასტურდება, რომ იგი არის მოქმედი პროფესიული საჯარო მოხელის სტატუსის მქონე პირი, ან შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, რომელიც არანაკლებ 1 წელი მუშაობს საჯარო სამსახურის სისტემაში;

კონკურსში მონაწილეობის მსრუველმა კანდიდატმა განაცხადის შევსების დროს უნდა ატვირთოს:

– განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

– სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი (შრომის წიგნაკი ან ცნობა სამუშაო ადგილიდან).

კონკურსის ეტაპებია: განცხადების გადარჩევა და გასაუბრება.

ინფორმაცია კონკურსის ეტაპების შესახებ, გასაუბრების ადგილის, თარიღის და დროის შესახებ კანდიდატებს ეცნობებათ მათ მიერ განაცხადში მითითებული ტელეფონის ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით;

კანდიდატი ვერ გადავა კონკურსის შემდეგ ეტაპზე, თუ იგი არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს, ან არასრულყოფილად იქნება წარმოდგენილი მითითებული დოკუმენტაცია; კონკურსის ყოველი ეტაპის შედეგები კანდიდატს ეცნობება მის მიერ აპლიკაციაში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე;

კონკურსი გამოცხადდა 2018 წლის 14 თებერვალს.

განცხადების წარდგენის ბოლო ვადაა 2018 წლის 23 თებერვალი.

ნუგზარ ჯამბურია
სამტრედიის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს სხდომა სამტრედიაში გაიმართა

ქეთევან ჭელიძე

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სააქტო დარბაზში იმერეთის გუბერნატორთან არსებული სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს წევრები შეიკრიბნენ. სხდომას, გივი ჭიჭინაძესთან ერთად, იმერეთის გუბერნატორის პირველი მოადგილე გრიგოლ დალაქიშვილი, ვიცე-გუბერნატორი იოსებ ხახალეიშვილი, იმერეთის მუნიციპალიტეტების მერები, საკრებულოს თავმჯდომარეები და მოადგილეები ესწრებოდნენ. მათ შორის იმყოფებოდნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი და მინისტრთა კაბინეტის რამდენიმე წევრი.

განხილული იქნა საკითხი იმერეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების შესახებ; ასევე, 2018-2021 წლების სამოქმედო გეგმაში შესატანი ცვლილებები; 2018 წლის ინფრასტრუქტურულ პროექტებზე სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების შესახებ არსებული პრობლემები და იმსჯელეს მათი გადაჭრის გზებზე; რეგიონული განვითარების სტრატეგიების სამოქმედო გეგმების შემუშავების სახელმძღვანელოს მოთხოვნების დაცვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრაზე. საკონსულტაციო საბჭოსთან შეიქმნა, აგრეთვე, სამუშაო ჯგუფი.

“დღეს გვქონდა ძალზე მნიშვნელოვანი შეხვედრა, _ განაცხადა გუბერნატორმა გივი ჭიჭინაძემ, _ საკონსულტაციო საბჭოს ფორმატში შევხვდით მუნიციპალიტეტების მერებსა და საკრებულოს პირველ პირებს. მათ შორის იყო აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი და მთავრობის წევრები. მოგეხსენებათ, ჩვენს რეგიონში ძალიან ბევრი დევნილი ცხოვრობს და ძალიან ბევრი პრობლემაა, რომელიც ფართო მსჯელობის საგნად ვაქციეთ. განვიხილეთ სხვა საკითხებიც, რომელიც შეტანილი იყო დღის წესრიგში. მე მგონი, ნორმალურად ვიმუშავეთ”.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის, ვალერიანე ფოცხვერიას, განმარტებით: “საკონსულტაციო საბჭოს სხდომა იმერეთის სხვადასხვა ქალაქში იმართება. რიგითობით, ამჯერად, სამტრედიაში ჩატარდა, იმ საკითხებთან ერთად, რაც იმერეთს ეხება, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად, განვიხილეთ დევნილებთან დაკავშირებული საკითხებიც. სამტრედიაში 2000-ზე მეტი იძულებით გადაადგილებული პირი ცხოვრობს. ჩვენი მხრიდან, რაც შეგვიძლია ვაკეთებთ, ყოველმხრივ ვუწყობთ მათ ხელს. დღეს მათი პრობლემების გადაჭრის გზებზე იყო საუბარი, ძირითადად, საყოფაცხოვრებო პრობლემებია მოსაწესრიგებელი. ყოფილი საავადმყოფოს შენობაში მცხოვრები მობინადრეები უკმაყოფილონი იყვნენ იქ არსებული პირობებით. ამჯერად დევნილთა სამინისტრო აფინანსებს სარემონტო სამუშაოებს, რომელიც თანამედროვე სტანდარტებს დააკმაყოფილებს. გვინდა, ისე გაკეთდეს ყველაფერი, იქ მცხოვრები ადამიანები კმაყოფილები დარჩნენ.”

იმერეთში აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირების მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ ყოლბაიამ:

ვინაიდან იმერეთი არის ის ადგილი, სადაც ცხოვრობს ყველაზე მეტი თუ არა, ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილი დევნილებისა, გადავწყვიტეთ, აქ მოგვეწყო შეხვედრა. პრობლემები თორმეტივე რაიონში მეტ-ნაკლებად არსებობს და აფხაზეთის მთავრობა და გუბერნია მას ერთობლივად განვიხილავთ. გუბერნიაში შემავალ ხელმძღვანელებთან ერთად გავიარეთ ისეთი საკითხები, რაც იძულებით გადაადგილებულ პირებთან დაკავშირებით არსებობს. აქ მოვიწვიეთ თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები და კარგი საუბარი გამოგვივიდა, მადლობა გივი ჭიჭინაძეს და მთელ გუბერნიას მხარდაჭერისთვის.

საგანგაშო მდგომარეობა იმერეთში არ გვაქვს. ეს იმის დასტურია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და ჩვენი წარმომადგენლები ქუთაისში აქტიურად თანამშრომლობენ და ოპერატიულად წყვეტენ საკითხებს. თუმცა პრობლემები ჯერ ისევ არსებობს მუნიციპალიტეტებში, ისეთი განწყობა იგრძნობოდა, საქმეს მოევლება.

_ ყველაზე მთავარი საკითხი, ალბათ, მაინც აფხაზეთის დაბრუნებაა. ოპოზიცია ხშირად საყვედურობს ხელისუფლებას უმოქმედობას, რომ ამ ეტაპისთვის მის ინტერესში არ არის ანექსირებული ტერიტორია დაიბრუნოს. თქვენ რას ფიქრობთ ამის შესახებ? არსებობს თუ არა სახელმწიფო დონეზე რაიმე კონკრეტული გეგმა პრობლემის გადასაჭრელად?

_ ინტერესი არ არის, ამას ვერ მივიღებ, რადგან რომელ ქვეყანას სურს, ტერიტორიები დაკარგოს. ჩვენ ისედაც ბევრი ტერიტორია დავკარგეთ თავის დროზე. ახლა ჩვენი ქვეყნის 25 პროცენტია ოკუპირებული. ხელისუფლება ცდილობს, ყველა დონეზე ჰქონდეს მხარდაჭერა, ამ ტერიტორიებზე გავრცელდეს საქართველოს სახელმწიფოს იურისდიქცია. რა თქმა უნდა, ეს რთულია. ამაზე ბევრი ლაპარაკობს და ვერ ვიტყვით, რომ აქ გულზე ხელდაკრეფილი ვართ. დაგეთანხმებით ერთ ნაწილში, შეიძლება ყოველდღე არ ჟღერდეს ამ გეგმის, მიმართულებების შესახებ, მაგრამ გეტყვით, რომ ყველაფრის თქმა ხმამაღლა არ შეიძლება. საქმიანობა, უნდა წარმოებდეს კულისებში, გარკვეულ წრეებში იხარშებოდეს, ჩართული იყოს საერთაშორისო თანამეგობრობა და ა. შ. მაგრამ არის მიმართულება, რომელიც ღია პოლიტიკას საჭიროებს. ასეთ საქმიანობას უნდა ვეწეოდეთ ჩვენ და სახელმწიფოს სხვადასხვა სტრუქტურა. დაგეთანხმებით, რომ არ გაჟღერებულა ის, თუ რას ამბობს აფხაზეთის მთავრობა. ამაზე ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ, თუ იმას შემეკითხებით, რას აკეთებთ? ეს არის ოკუპირებულ ტერიტორიებზე მუშაობა, იქ დარჩენილ მოსახლეობასთან ურთიერთობა, საერთაშორისო ორგანიზაციებთან ჩვენი განწყობის მიტანა და მათი ჩართვა პროცესში, რომელსაც დეოკუპაცია ჰქვია. არის ბევრი მიმართულება, რომელიც მთლიანობაში მოცემულ სახედ, პროექტის სახედ არავის უნახავს, ამაში კიდევ ერთხელ გეთანხმებით.

_ როცა ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით მსჯელობენ, ბუნებრივად წარმოიშვება კითხვა აფხაზეთის მთავრობის საჭიროებაზე.. თქვენი აზრით, რა აუცილებლობას წარმოადგენს საქართველოს არაოკუპირებულ ტერიტორიაზე ოკუპირებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის არსებობა?

_ ჩვენ ვიცით, რომ ვართ აფხაზეთის ხელისუფლება. ვართ არა მარტო დევნილების ხელისუფლება, არამედ იქ დარჩენილი მოსახლეობის ხელისუფლებაც. ამიტომ ვახორციელებთ აფხაზეთის ტერიტორიებზე პროგრამებს, პროექტებს, ვზრუნავთ იქაურ ქართველებზე, ჯანდაცვის სისტემებში ძალიან ბევრი ადამიანი ჩავრთეთ. ჩვენი წარმომადგენლები მუშაობენ იქ სოფლის მეურნეობის დარგში. არის კიდევ მეორე მომენტი. ჩვენ ვართ გახლეჩილი საზოგადოების ნაწილი. მოხდა ისე, რომ 1992-1993 წლებში გავიყავით და იძულებით დევნილობაში ვიმყოფებით, ჩვენს ხალხს ჩვენი სახით სჭირდება რაღაც ფსიქოლოგიური, პოლიტიკურ-ეკონომიკური დასაყრდენი.

საკონსულტაციო საბჭოს სხდომის შესახებ თავისი მოსაზრება ჟურნალისტებთან ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერმა პაატა ნადირაძემაც დააფიქსირა: “ჭიათურის მუნიციპალიტეტი დაესწრო საკონსულტაციო საბჭოს სხდომას. შეხვედრაზე ძალიან ბევრი საკითხი განვიხილეთ, მათ შორის ვისაუბრეთ ჭიათურაში არსებულ პრობლემებზე, იქ განვითარებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე. ყველა მუნიციპალიტეტმა წარმოადგინა პროექტები, თუ როგორ უნდა განვვითარდეთ მომავალში. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ბატონ გივი ჭიჭინაძეს და სხდომის ორგანიზატორებს. მსგავსი შეხვედრები ძალიან დიდ შედეგს გამოიღებს, მკვეთრი და კეთილი ნაბიჯები იქნება გადადგმული”.

სამტრედია იმერეთის ოლიმპიური კომიტეტის ინტერესის სფეროში მოექცა

14 თებერვალს სამტრედიის მუნიციპალიტეტს სტუმრად ეწვია იმერეთის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე, რეზო რობაქიძე. რეგიონალური ორგანიზაციის წარმომადგენლები სამტრედიის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სპორტული კლუბების ხელმძღვანელებსა და მწვრთნელებს შეხვდნენ.

ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობას მეგზურობა გაუწია მუნიციპალიტეტის მერიის სპეციალისტმა სპორტისა და ახალგაზრდობის საკითხებში ეკა კიკაჩეიშვილმა. რეზო რობაქიძემ დადებითად შეაფასა წინა წლის შედეგები, განსაკუთრებით კი ძიუდოში, თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. სპორტსმენებმა განსაკუთრებული შედეგები დადეს, როგორც მსოფლიოს, ასევე ევროპის ჩემპიონატებზე.

მათი მიღწევებით მოხიბლულმა ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარემ იმედი გამოთქვა, რომ მომდევნო თამაშებზე მონაწილეებად მოიაზრებს სამტრედიელ სპორტსმენებს.

რეზო რობაქიძემ იმავე დღეს დაათვალიერა სასწავლო პროცესი ზემოაღნიშნულ სპორტულ სახეობებში და სასიამოვნოდ გაკვირვებული დარჩა მოსწავლეთა რაოდენობითა და მომზადების დონით. მან მცირე ოლიმპიური ვიქტორინა მოაწყო ვაჟებთან და ერთ-ერთ გამარჯვებულს საჩუქრად გადასცა სამმართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მიერ გამოცემული სპეციალური ოლიმპიური ლიტერატურა.

14 თებერვალს იმერეთის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე სტუმრად ეწვია მე-11 საჯარო სკოლას, სადაც ფრენბურთელთა გუნდი მოინახულა, მათაც მიულოცა წარმატება, მე-11 საჯარო სკოლის ფრენბურთელთა გუნდის ორი წევრი საქართველოს ნაკრების წევრი გახდა.

რეზო რობაქიძე ასევე შეხვდა მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს, დავით ბახტაძეს და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსს, ნატალია მანჯგალაძეს. ერთობლივად განიხილეს აღნიშნულ სფეროში არსებული პრობლემები და დასახეს სამომავლო ღონისძიებების გეგმები.

“როგორც ბატონი რეზო აღნიშნავს, 2017 წლის სპორტული კალენდრის მონაცემებით, სამტრედიის მუნიციპალიტეტი განსაკუთრებულ სიმაღლეზე დგას თავისი მიღწევებით, რაც ძალზედ სასიამოვნო და საამაყოა ჩვენი ქალაქისთვის. გამომშვიდობებისას რეზო რობაქიძემ მადლობა გადაუხადა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს და ხაზგასმით აღნიშნა მისი დიდი წვლილი სპორტსმენების განვითარების საკითხებში.

ნინო ნანიტაშვილი

გვახსოვს თებერვალი...

და ერის ტანჯვის გამომსახველი,
იზრდება გულში ორი მწვერვალი,
ერთი ნაღველის ორი სახელი:
კრწანისის ველი და თებერვალი.

ა. აბაშელი

ო, ჩვენ ისე შევეჩვიეთ
ჩვენს მიწა-წყალს,
ჩვენს ფერს, ჩვენს ხმას,
რომ ვერასდროს ვერ ავიტანთ
გამარჯვებულ რუსულ ჩექმას.

ი. გრიშაშვილი

ლევან გაბეჩავა

სამიოდე წელი გასულიყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაბადებიდან. ბევრი მოესწროთ დროის ამ მცირე მონაკვეთში ქართველებს. ჩამოყალიბდა სახელმწიფო ინსტიტუციები, ჩატარდა არჩევნები, მიიღეს კონსტიტუცია, მოიჭრა ქართული ბონი (ფულის ერთეული).

საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარეს წამყვანმა სახელმწიფოებმა, მათ შორის საბჭოთა რუსეთმაც, თუმცა...

1920 წლის აპრილის დამლევს რუსეთმა აზერბაიჯანი დაიპყრო. იმავე წლის 1-2 მაისს ღამით ქართველი ბოლშევიკები თავს დაესხნენ იუნკერთა სამხედრო სასწავლებელს თბილისში.

2 მაისს საბჭოთა რუსეთის XI არმიამ საქართველოს საზღვრები გადმოლახა, თუმცა, ამჯერად საქართველო ანექსიას გადაურჩა, "წარმატებული" აღმოჩნდა რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება, რომლითაც საბჭოთა რუსეთმა სცნო ქართული სახელმწიფო, მაგრამ რუსულმა დიპლომატიამ განაგრძო მუშაობა საქართველოს საერთაშორისო იზოლაციაში მოსაქცევად.

...სისხლიანი აღმოჩნდა 1921 წლის თებერვალი საქართველოსათვის "საშვიდობოდ" მოსულმა წითელმა XI არმიამ, უთანასწორო ბრძოლების მიუხედავად, მოახერხა დაპყრო საქართველო.

კოჯორი, ტაბახმელა... ცეცხლის ალში გაეხვია. იუნკერები, თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტები, ქართული ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი ბრძოლის ველზე დაიღუპა.

უხეშად დაარღვია რუსეთმა მის მიერვე ხელმოწერილი ხელშეკრულება, საერთაშორისო კანონმდებლობა, უცხო სახელმწიფოთა სუვერენიტეტისადმი პატივისცემას რომ აღიარებს.

1921 წლის 17 მარტს ემიგრაციაში გაემგზავრა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა.

ჯერ არც ჩიტი მოფრენილა,/ არც შოშია სჩანს,/ არც მერცხლებით მოჭედილა საქართველოს ცა,/ თებერვალო, საქართველოს გაზაფხული ხარ.

დიდხანს ზრდიდნენ საბჭოთა საქართველოს პატარებს ამ "პატრიოტული" სიტყვებით და ზეიმობდნენ 25 თებერვალს _ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღეს.

ეს მანამ, ვიდრე გასული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევარში არ გამოცხადდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის პოლიტიკური აქტის საფუძველზე.

დღესაც გამალებით ცდილობს რუსეთი საქართველოს საერთაშორისო იმიჯის შელახვას, თუმცა ამჯერად სხვა დროა, აშკარად სხვა ვითარება და საქართველოც დაბეჯითებით მიიწევს წინ.

საერთაშორისო ავტორიტეტული ორგანიზაციების მიერ საქართველოს აღიარება აღიზიანებს რუსეთის შოვინისტურად მოაზროვნე პოლიტიკოსებს.

არაერთხელ სცადეს 1921 წლის სისხლიანი თებერვლის შემდეგ რუსმა შოვინისტებმა საქართველოს სახელმწიფოს დასუსტება.

არაერთხელ დაიღვარა უდანაშაულო ქართველთა სისხლი. იყო 9 მარტი და 9 აპრილი, სამაჩაბლო, აფხაზეთი, 2008 წლის აგვისტო.

ამჯერად მავთულხლართებს ხლართავს უტიფრად ქართულ მიწაზე.

ვერაფერი შეაჩერებს საქართველოს დამკვიდრებას საერთო ევროპულ ოჯახში.

97 წელი სრულდება 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიიდან.

თითქმის საუკუნის შემდეგ, სრულიად საქართველო მოწიწებით ხრის თავს იმ მამულიშვილთა ნათელი ხსოვნის წინაშე, ყველაზე ძვირფასი _ სიცოცხლე რომ მიიტანეს სამშობლოს სამსხვერპლოზე, დაიხოცნენ, მაგრამ არ უჭამიათ სირცხვილი. გმირები არიან ისინი.

სანთლებად აინთო მათი ხსოვნა სამშობლომ.

ხიბლარის უბნის ეკლესია ერთი წლისაა

12 თებერვალს ხიბლარის უბნის სამი დიდი მღვდელმთავრის სახელობის ეკლესიაში წირვა აღავლინა ხონი-სამტრედიის ეპარქიის მმართველმა, მიტროპოლიტმა საბამ. თანამწირველები იყვნენ ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტი თეოდორე, ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტი გერასიმე.

12 თებერვალი სამი დიდი მღვდელმთავრის ბასილი დიდის, გრიგოლი ღვთისმეტყველისა და იოანე ოქროპირის ხსენების დღეა. ეს დღე ხიბლარის უბნის ტაძრის დღესასწაულიცაა. სიმბოლურია, რომ სამი მღვდელმთავრის ხსენების დღეს ტაძარში წირვა სამმა მღვდელმთავარმა აღავლინა ხონისა და სამტრედიის სამღვდელოებასთან ერთად.

ბასილი დიდი, გრიგოლ ღვთისმეტყველი და იოანე ოქროპირი კაპადოკიელები იყვნენ. ისინი მე-4 საუკუნის მე-2 ნახევარსა და მე-5 საუკუნის დასაწყისში მოღვაწეობდნენ. ამჟამად მიმდინარე საეკლესიო მსახურება ბასილი დიდისა და იოანე ოქროპირის მიერ ჩამოყალიბებული წესების მიხედვით სრულდება. თითოეულ მათგანს ეკუთვნის უამრავი ნაშრომი საეკლესიო ცხოვრების სხვადასხვა საკითხზე, რამაც მათ შესძინა დიდი ავტორიტეტი, როგორც საეკლესიო, ასევე საერო წრეში. ორი მათგანი _ გრიგოლ ღვთისმეტყველი და იოანე ოქროპირი, გარდა მღვდელმთავრობისა, გარკვეული დროის განმავლობაში კონსტანტინეპოლის პატრიარქებიც იყვნენ.

იოანე ოქროპირის ბიოგრაფიაში ვკითხულობთ, მწვალებლებისადმი შეურიგებლობის გამო იგი ორჯერ იქნა გადაყენებული პატრიარქობიდან.

მეორედ გადაყენების შემდეგ იოანე ოქროპირს გადასახლება მიუსაჯეს და გადასახლების ადგილად ბიჭვინთა იქნა დასახელებული. იოანე ოქროპირი ამდენი შეურაცხყოფისა და წამების შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე გარდაიცვალა, საიდანაც მოგვიანებით კონსტანტინეპოლში იქნა გადასვენებული. მართლმადიდებლური ეკლესიისადმი დიდი დამსახურების გამო სამივე წმინდანად იქნა შერაცხული და რადგანაც თითოეულ მათგანს ბევრი მიმდევარი ჰყავდა, ეკლესიამ, მრევლში გათიშვა რომ არ მომხდარიყო, მათი ხსენება ერთ დღეს დაადგინა, რომელიც ახალი სტილით 12 თებერვალია.

წირვა-ლოცვის დასრულების შემდგომ ქადაგებისას მეუფე საბამ ყოველივე ამის შესახებ აუწყა მრევლს და მოუწოდა, ხიბლარის უბანში ერთი წლის გახსნილი ტაძარი მაქსიმალურად გამოიყენონ ქრისტიანული რწმენის განსამტკიცებლად. ქადაგებაშივე ტაძრის აღმშენებლის გიორგი ხაჟალიას, მისი ოჯახისა და ყველა დამხმარის წვლილი მეუფე საბამ გამოკვეთილად აღნიშნა.

ნინო ანანიაშვილი

იუნკერთა ცხედრები თბილისში

ორი აზრი არ არსებობს, რომ...



ლევან გაბეჩავა

ნიკო ნიკოლაძემ და მისი ოჯახის თითოეულმა წევრმა ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს ეროვნული კულტურის, მეცნიერების განვითარებაში, დანარჩენი მსოფლიოსათვის საცნაური გახადეს საქართველო და ქართული კულტურა, ქართველი კაცის გონიერება, ტრადიციები.

ერთი შეხედვით საზოგადოება ყველაფერს აკეთებს ნიკოლაძეთა ღირსეული გვარის წარმომადგენელთა პატივგებისათვის.

საიუბილეო საღამოები, სამეცნიერო კონფერენციები და სხვადასხვა აქტივობები მეტყველებენ ნათლად ამაზე, მაგრამ არის საკითხი, დღის წესრიგში რომ დგას და რომლის დადებითად გადაჭრასაც არ იქნა და არ დაადგა საშველი.

ვინც დილეტანტის დონეზე მაინც იცნობს ეროვნულ სასწავლო პროგრამას და სასწავლო სახელმძღვანელოებს, უდავოდ, უსიტყვოდ დაგვეთანხმება, რომ სახელმძღვანელოები მეტ დახვეწას მოითხოვს.

გვესმის და არ უარვყოფთ იმ ჭეშმარიტებას, რომ ახალგაზრდამ უნდა იცოდეს საზღვარგარეთელი მწერლების, პუბლიცისტთა და საზოგადო მოღვაწეთა შესახებ, მაგრამ საკითხავია, რატომ არ არის სასწავლო სახელმძღვანელოებში შეტანილი დიდი ერისკაცისა და საზოგადო მოღვაწის, მრავალმხრივი ნიჭით მირონცხებული პიროვნების, ნიკო ნიკოლაძის შემოქმედება? ათ კაცს ეყოფოდა კაცობის, მოღვაწეობის სამშვენისად ნიკოს მიერ მამულისათვის, რეგიონისათვის, სამტრედიისა და დიდი ჯიხაიშისათვის ნაკეთები კეთილი საქმეები, დროის სვლასთან ერთად მეტ ელვარებას, მეტ მნიშვნელობას რომ იძენენ.

ამ წერილში შეგნებულად არ ვსაუბრობთ სრულად და ამომწურავად დიდი მოღვაწის ნაამაგარზე.

მიმდინარე წელი საიუბილეოა, 175 წელი სრულდება ნიკო ნიკოლაძის, 135 მისი ვაჟიშვილის გიორგი ნიკოლაძის დაბადებიდან.

ოთხ თვეზე ცოტა დრო რჩება მიმდინარე სასწავლო წლის დასრულებამდე. ტრადიციულად მომდევნო სასწავლო წლის სახელმძღვანელოების შედგენა უკვე უნდა დაიწყოს.

იმაზე კარგსა და საშურ საქმეს ვერაფერს გავაკეთებთ საიუბილეოდ, თუ მოხერხდება ეროვნულ პროგრამაში (ცალ-ცალკე თუ არა,) ნიკოლაძეთა ოჯახის შესახებ მაინც იქნეს შეტანილი სათანადო მასალა. ამ საქმეში დიდი ერისკაცის ღირსეულმა შთამომავლობამ და სამტრედიის მუნიციპალიტეტის საზოგადოებამ, ინტელიგენციამ უნდა თქვას სეფე სიტყვა.

იმსახურებს ნიკო ნიკოლაძე ამგვარ პატივს უთუოდ.

რეგულარულმა ინტელექტუალურმა ჩემპიონატმა სტარტი აიღო

ნათია ნაცვლიშვილი

სამტრედიის მუნიციპალიტეტში პირველად გაიმართება "რა? სად? როდის?" რეგულარული ინტელექტუალური ჩემპიონატი. მხარდამჭერი სამტრედიის მერია და მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურია. ამჯერად ლოკაცია მესამე საჯარო სკოლაა. ჩემპიონატის ტრადიციული წამყვანი გიორგი ჩაჩუაა, სამტრედიის ინტელექტუალთა ნაკრები გუნდის, "ინტერსტელარის" კაპიტანი. კითხვების პაკეტები გიორგი ჩაჩუამ, ლევან ცირეკიძემ, ლაშა ლორიამ, ლაშა ორმოცაძემ, მამუკა კილურაძემ და გიგა ჩალიგავამ მოამზადეს. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 37 სკოლიდან მასში მონაწილეობა 18-მა მიიღო, ყველა სკოლა ერთი გუნდით იყო წარმოდგენილი. როგორც ტურნირის ორგანიზატორებმა გვითხრეს, მომდევნო ლოკაცია პირველი საჯარო სკოლა იქნება.

"სამტრედიის მაცნეს" ლევან ცირეკიძე გაესაუბრა: "მემორიალურ ტურნირებს სულ ვატარებთ, მაგრამ რეგულარული ჩემპიონატი ჯერ არ გამართულა, ეს პირველი მერცხალია, თამაში ოთხ ტურად გაიმართება, ოთხივე ტურში ყველა გუნდი მიიღებს მონაწილეობას, გამარჯვებული ჩემპიონატის ბოლოს გამოვლინდება, გვყავს კომპეტენტური ჟიური, კითხვების პაკეტის ავტორი დღეს არის გიორგი ჩაჩუა, შემდეგ ტურზე მე და გიგა ჩალიგავა ვიქნებით, მომდევნო ტურში იქნებიან ლაშა ლორია და ლაშა ორმოცაძე, მერე მამუკა კილურაძე და გიორგი ცაგარეიშვილი. ყველას ჩვენი ინტერესის სფერო გვაქვს და გვექნება მრავალფეროვანი შეკითხვები, ბავშვებმა გამოიჩინეს მონდომება, თითო სკოლიდან ერთი გუნდია, სულ თვრამეტმა მიიღო მონაწილეობა. თუ ეს ჩემპიონატი წარმატებით დავამთავრეთ, რეგულარულად, წელიწადში ორჯერ, საგაზაფხულო და საშემოდგომო სეზონს ჩავატარებთ. მადლობა მერიას თანადგომისათვის. გვსურს, წარმოვაჩინოთ ნიჭიერი ბავშვები."

ღონისძიების დაწყებამდე ახალგაზრდებს მიესალმა მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, დავით ბახტაძე: "დარწმუნებული ვარ, მუნიციპალიტეტის მერიის ხელშეწყობით მსგავსი ტურნირები ხშირად გაიმართება, აღსანიშნავი და სასიამოვნოა, რომ წინა წლებში ასეთი აქტიურობა არ ყოფილა, დარწმუნებული ვარ, ჩვენს მუნიციპალიტეტში მრავალი ასეთი პროექტი განხორციელდება. ყველა მონაწილეს წარმატებას ვუსურვებ."

მერიის კულტურის სამსახურის უფროსი, ნატალია მანჯგალაძე: "აღფრთოვანებული ვარ ამდენი ჭკვიანი, ლამაზი ახალგაზრდის ხილვით, თითოეულ თქვენგანს თქვენი ცოდნის მაქსიმალურ გამოვლენას გისურვებთ, მინდა, ჩემპიონატი მასშტაბური გახდეს, ქალაქის 9 და სოფლის 8 გუნდი მონაწილეობს, მიხარია, სოფლის ახალგაზრდები ასე დიდი ინტერესით ჩაერთვნენ ამ თამაშებში. წარმატებებს გისურვებთ, აღვნიშნავ იმასაც, რომ განსაკუთრებულად დიდი ჯიხაიშის სკოლის გუნდს ვგულშემატკივრობ". ნატალია მანჯგალაძემ შეკრებილთ აცნობა, რომ მერი, ვალერიანე ფოცხვერია შეხვედრას მის იმიტომ ვერ დაესწრო, რომ ქალაქში არ იმყოფებოდა, ის შორიდან მიესალმა ნიჭიერ ახალგაზრდებს და მათდამი მხარდაჭერა გამოხატა.

სამტრედიის ინტელექტკლუბის წევრი, ლაშა ლორია მიესალმა ახალგაზრდებს და წარმატებები უსურვა, ისიც დასძინა, რომ წაგება არ არის სამარცხვინო. მომდევნო ტური ორი კვირის შემდეგ გაიმართება და ლოკაცია პირველი სკოლა იქნება. პირველი ტურის დასრულების შემდეგ შედეგები ასე გამოიყურება: პირველი და მეორე ადგილები გაიყვეს პირველმა (დირექტორი ხათუნა ფაილაძე) და მესამე (დირექტორი ვენერა ივანიშვილი) საჯარო სკოლებმა 12-12 ქულით, მესამე ადგილზე კი გავიდა მეოთხე საჯარო სკოლა (დირექტორი ნუგზარ კუცია) 11 ქულით. ლაშა ლორია: "შეკითხვების პაკეტი იყო საკმაოდ რთული და აქედან გამომდინარე, შედეგებით საკმაოდ კმაყოფილნი ვართ. ვფიქრობთ, ეს მომავალში ამ ბავშვების მოტივაციის ამაღლებას ხელს შეუწყობს. მინდა აღვნიშნო, ამ ჩემპიონატის ჩატარების მთავარი მიზანია, ბავშვებში ამაღლდეს ინტელექტის დონე, მეოთხე და მეექვსე ადგილებს იყოფენ მე-8, მე-11 და მე-12 სკოლები. აღსანიშნავია ის, რომ დახლოებით ათი გუნდი ინარჩუნებს ჩემპიონობის შანსს. წინ დაძაბული სამი ტურია, ვნახოთ, ვინ იქნება ლიდერი".

ააიპ ს/ნ: 238758965

"ქალაქ სამტრედიის წმინდა მოწამე ქეთევანის სახელობის სათნოების სახლის" გამგეობის წევრთა უმრავლესობის

განცხადება

ააიპ "ქალაქ სამტრედიის წმინდა მოწამე ქეთევანის სახელობის სათნოების სახლის" (ს/ნ: 238758965, "ქსწმქსსს") გამგეობის ერთ-ერთმა წევრმა 2018 წლის 28 თებერვალს 17:00 საათზე მოიწვია "ქსწმქსსს" საერთო კრება. დღის წესრიგით განსახილველ საკითხებად მითითებულია "ქსწმქსსს" გამგეობისა და თავმჯდომარის არჩევა;

"ქსწმქსსს" გამგეობის ამავე წევრის მიერ 2018 წლის 21 იანვარს აგრეთვე იქნა მოწვეული გამგეობის სხდომა, საწევროების გადაუხდელობის საფუძველზე გამგეობის 1/3 წევრების გარიცხვის მოთხოვნით. სხდომის მოწვევის ინიციატორი სხდომაზე გამოცხადდა 20-მდე უცხო პირის თანხლებით. წევრების გარიცხვას, უსაფუძვლობისა და დაუსაბუთებლობის გამო, გამგეობის სხდომამ მხარი არ დაუჭირა;

ორგანიზაციის წესდების IV თავის I პუნქტის I ქვეპუნქტით საერთო კრებას შეიძლება ესწრებოდეს "ქსწმქსსს" წევრი, რომელიც წესდების III თავის I პუნქტის დადგენილი პირობებით არის გაწევრიანებული ორგანიზაციაში, ხოლო II პუნქტის I ქვეპუნქტით იგი მოვალეა დაიცვას "ქსწმქსსს" წესდება _ ეს პირობა აგრეთვე ეხება გამგეობის ნებისმიერ წევრსაც;

"ქსწმქსსს" გამგეობის სხდომებისა და საბუღალტრო ჩანაწერებში არ მოიპოვება ცნობები ორგანიზაციაში რიგითი წევრების არსებობის შესახებ, არც გაწევრიანების მსურველთა განცხადებები იძებნება საჭირო დახასიათებებითა და გამგეობის შესაბამისი გადაწყვეტილებებით და წესდების IV თავის II პუნქტის IV, V ქვეპუნქტებისა და III თავის V პუნქტის ბ/ ქვეპუნქტების მიხედვით არც თითქოს არსებული რიგითი წევრების მიერ საწევროს გადახდის დამადასტურებელი ცნობებია სახეზე;

"ქსწმქსსს" წესდების III თავის IV პუნქტის მიხედვით ორგანიზაციაში წევრობის მსურველთა განცხადებების განხილვის და ერთთვიან ვადებში ისეთი გადაწყვეტილებათა მიღების თაობაზე, რომლებითაც გამგეობას შეიძლებოდა მხარი დაეჭირა ამა თუ იმ განმცხადებლის წევრად მიღებისთვის, არც ერთ ასეთ ფაქტს ადგილი არ ჰქონია "ქსწმქსსს" დაფუძნებიდან, ე. ი 2004 წლიდან ამ დრომდე;

28 თებერვალს ჩანიშნული საერთო კრების კანონიერების უზრუნველსაყოფად საერთო კრების მოწვევის ინიციატორს მოვუწოდებთ _ საერთო კრებაში მონაწილეობის მიღების მიზნით, მის მიერ ვინც შეიძლება იყოს მოწვეული, როგორც "ქსწმქსსს" წევრი, მასთან დაკავშირებით 26 თებერვლის ჩათვლით "ქსწმქსსს" წარმოგვიდგინოთ შემდეგი ცნობები:

ა). იმ განცხადებების სახით, რომლებითაც წევრობის მსურველებმა თითქოს ოდესღაც მიმართეს "ქსწმქსსს" გამგეობას ორგანიზაციაში გაწევრიანების მიზნით;

ბ). იმ შეტყობინებების ან სხვა მტკიცებულებების სახით, რაც ცხადყოფს "ქსწმქსსს" წევრობის მსურველ პირთა ორგანიზაციაში გაწევრიანების საკითხებზე გამგეობის რომელი წევრების მიერ როდის, როგორი სახით, სად და რომელ საათზე იქნა მოწვეული გამგეობის სხდომა, ამის თაობაზე ვის დაეგზავნა მოსაწვევები და ვის არა, ვის ჩაბარდა ისინი და ვის არა.

გ). სულ ასეთ საკითხებზე რამდენჯერ იქნა მოწვეული გამგეობის სხდომა;

დ). "ქსწმქსსს" გამგეობის იმ ორი წევრის მიერ შედგენილი წერილობითი დახასიათებების სახით, რომლებითაც ვითომ დადებითად დახასიათდნენ გამგეობის წინაშე აწ უკვე თითქოსდა ჩვენი ორგანიზაციის წევრები, როგორც "ქსწმქსსს" წევრობის მსურველი პირები. წინააღმდეგ შემთხვევაში საერთო კრების ჩატარების ნებისმიერი მცდელობა იქნება "ქსწმქსსს" საერთო კრების პროფანაცია და იგი შეფასდება "ქსწმქსსს" წესდების და შესაბამისი კანონმდებლობის დარღვევად.

თ. ახობაძე
მ. მანჯგალაძე
მ. ბალანჩივაძის წარმომადგენელი
ზ. სანიკიძე
ვ. მაღლაკელიძე
ზ. გიგიბერიას წარმომადგენელი
ზ. კოპალეიშვილი
გ. ღლანიძე
2018 წელი
20 თებერვალი

დაგვიანებული მადლობა

მიმდინარე წლის 19 იანვარს, ნათლისღების დღეს, დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძარში წირვის დროს დავკარგე გონება. ექიმმა, პროფესორმა მალხაზ მირცხულავამ, ჩინური მედიცინის მეთოდებით, გონზე მომიყვანა. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეკიპაჟიც დროულად მოვიდა და პირველადი სამედიცინო დახმარების შემდეგ გადამიყვანეს "ჯეოჰოსპიტალსში". მედპერსონალმა ექიმ ლია ბიბილეიშვილის ხელმძღვანელობით სათანდო მკურნალობა გამიწია და რამდენიმე საათის შემდეგ გამწერეს.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, რომ მისაღებში მაღალ დონეზე დგას პაციენტების მოვლა-მკურნალობა და სისუფთავის საკითხი.

მადლობას ვუხდი ბატონ მალხაზ მირცხულავას, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეკიპაჟს, "ჯეოჰოსპიტალსის" მედპერსონალს და ქალბატონ ლია ბიბილეიშვილს.

პატივისცემით
პავლე თავაძე

“ფარი” გერმანიას საქართველოს ისტორიას ცეკვით მოუყვება

ნათია ნაცვლიშვილი

მარიამ მარგ მარგველაშვილი გერმანიის მოქალაქეა, ის დუსელდორფის უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტია, არის გერმანია-საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის არჩეული პრეზიდენტი. ეს ასოციაცია თანამოაზრეებთან ერთად მან გასულ წელს დააფუძნა. ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, მისი ბიოგრაფია მეტად შთამბეჭდავად გამოიყურება, მარიამის ინტერესების სფერო მრავალმხრივია. ამბობს, რომ ყველაფერს, რასაც ის აკეთებს, აკეთებს თავისი ქვეყნისათვის, საქართველოსათვის, რომ უკეთ იცნობდნენ ევროპაში. ამიტომაც ის ძალისხმევას რამდენიმე მიმართულებით წარმართავს _ იქნება ეს იურისპრუდენცია, კულტურა თუ ხელოვნება. ამ დღეებში ნიჭიერი და წარმატებული ახალგაზრდა სამტრედიას 5 დღიანი საგანგებო ვიზიტით ეწვია. ამჯერად მისი მიზანია, დაეხმაროს ანსამბლს “ფარი”, ის ანსამბლს პროდიუსერობას გაუწევს, რათა მონაწილეობა მიიღოს პრესტიჟულ ფესტივალ-კონკურსში, რომელიც ქალაქ დუისბურგში 25 თებერვალს გაიმართება, სამტრედიელი მოცეკვავეები თავიანთი შემოქმედებით წარსდგებიან გერმანული პუბლიკის წინაშე.

მანამდე კი, ვიდრე მარიამი წარმატებებს მიაღწევდა, მისმა ოჯახმა რთული და ძნელი გზა გაიარა საქართველოს დედაქალაქიდან გერმანიამდე. მამა, გიორგი მარგველაშვილი პროფესიით ინჟინერი, 1989 წლის ცხრა აპრილის ტრაგედიის დროს მოიწამლა და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ძალზე გაუარესდა. გაუარესდა ოჯახის სოციალური მდგომარეობაც, მათ გერმანიას მიაშურეს, რათა მამას მკურნალობის კური იქ გაეგრძელებინა. 2003 წელს 5 წლის იყო მარიამი, გერმანიის ქალაქ ბოხუმში რომ გადავიდნენ საცხოვრებლად. როგორც თვითონ იხსენებს, ისე შევიდა სკოლაში, რომ ერთი გერმანული სიტყვაც არ იცოდა, რამდენიმე თვეში კი გერმანულად ამეტყველდა. თავიდან საერთო საცხოვრებელში დამკვიდრდნენ, მამის ჯანმრთელობაც გაუმჯობესდა და შემდეგ ოჯახი ქალაქ დუსელდორფში გადავიდა საცხოვრებლად. მარიამმა ჯერ დაწყებითი ოთხწლიანი სკოლა დაამთავრა. პირველ კლასში გერმანულის პარალელურად სწავლობდა რუსულსაც, მესამე კლასიდან ინგლისურს. ოთხწლიანი სკოლის დასრულების შემდეგ მიანიჭეს უფლება, სწავლა გიმნაზიაში, უმაღლესი დონის სკოლაში გაეგრძელებინა. ამ სკოლის წარმატებით დასრულების შემდეგ კი, დუსელდორფის უნივერსიტეტში განაგრძო სწავლა იურიდიულ ფაკულტეტზე. ერთობ ფართოა მარიამის ინტერესების სფერო, ის ისმენს ლექციების კურსს ეკონომიკაში, ამბობს, რომ ძალიან უყვარს მათემატიკა და ტექნიკური საგნები. უყვარს ენებიც, ფლობს გერმანულ, რუსულ, ინგლისურ, ლათინურ, ფრანგულ და ქართულ ენებს.

როგორც უკვე ვთქვით, არის გერმანია-საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის პრეზიდენტი. მარიამ მარგ მარგველაშვილი: “ასოციაცია 3000 წევრს აერთიანებს, ვმუშაობთ არამარტო გერმანელებთან და ქართველებთან, ვაპირებ, უახლოეს ხანში ვეწვიო ესპანეთსა და საფრანგეთს, კონკრეტული მიზნით: გავიცნოთ იქაური იურისტები და გავაცნო ჩვენი ასოციაცია, ამით საქართველოს დავეხმარებით ევროპასთან ინტეგრაციაში, მართალია, დღეს გერმანიაში ვცხოვრობ და გერმანიის მოქალაქე ვარ, მაგრამ არასოდეს მავიწყდება, რომ ვარ ქართველი და მიყვარს ჩემი სამშობლო, მინდა, ის იყოს ევროკავშირის წევრი, ხელი შევუწყო საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციას. ამ ასოციაციაში ვაპირებთ ჩავატაროთ ლექციები და სემინარები, ახლო ურთიერთობები მაქვს ჩემი უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორებთან და გვინდა, საქართველოდან როგორც სტუდენტები, ისე იურისტები ჩავიყვანოთ გერმანიაში, ისინი დაესწრებიან სემინარებს, მოისმენენ ლექციებს და ახლო კონტაქტს დაამყარებენ გერმანიასთან, გერმანელ იურისტებთან. მთელ მსოფლიოში ცნობილი და აღიარებულია გერმანული იურიდიული სკოლა, მით უმეტეს, გერმანული და ქართული კანონმდებლობა ძალიან ჰგავს ერთმანეთს. ვმუშაობ ერთ ერთ მსოფლიო მნიშვნელობის იურიდიულ ფირმაში “Chlifford Chance LLP”, ამ ფირმას ფილიალები აქვს მსოფლიოს ყველა დიდ ქვეყანაში, სულ რაღაც ნახევარ წელიწადში ამ ფირმის ნდობა მოვიპოვე, ჩვენი თანამშრომლობა წელიწად-ნახევარს ითვლის. ჩემი აზრით, საქართველო უკვე გეოგრაფიულად ეკუთვნის ევროპას, ქვეყანაში ბევრი სასიკეთო რამ ხდება, ყველა ქვეყანაში ხდება ცუდი და კარგი, ძალიან ცუდი და ძალიან კარგი. საქართველო გამონაკლისი ვერ იქნება. იგი სერიოზულ ნაბიჯებს დგამს უკვე ევროკავშირის წევრობისაკენ, ამ ახალგაზრდულ ასოციაციას არ შევქმნიდი, დარწმუნებული რომ არ ვყოფილიყავი საქართველოს ევროპულ მომავალში. ქვეყანა უკვე ეზიარა ევროპულ ღირებულებებს, ჩემი აზრით, მას ბევრი დრო არ დარჩა ნატოში გაწევრიანებამდე.”

ნიჭიერი იურისტის ერთ-ერთი გატაცება მუსიკაა, 9 წლის ასაკიდან უკრავს პიანინოზე. როგორც თავად იხსენებს, დედა ყოველთვის ცდილობდა, ყველა წრეზე ეტარებინა, იქნებოდა ეს მუსიკა, სპორტული აკრობატიკა, თუ ცეკვა. პატარაობისას თბილისში ჩამოსულ მარიამს კომპოზიტორმა მარიკა მარგველაშვილმა სიმღერაც დაუწერა თბილისზე, რომელსაც მარიამი ასრულებდა. “ბავშვობიდანვე აქტიური პერსონა ვიყავი, ვმღეროდი სკოლის გუნდში, იტალიასა და საფრანგეთში, გვიმღერია ეკლესიებშიც. ერთი უმთავრესი რამ ვისწავლე: ყოველთვის ვიყო თავდაჯერებული, არ გავჩერდე და ვიბრძოლო, ძალიან მინდა, ჩემს საყვარელ საქართველოს დავეხმარო, მინდა, აქ ყველას კმაყოფილების ღიმილი ჰქონდეს სახეზე, არ იყოს სიღარიბე და ყველა ბედნიერი იყოს. ძალიან მინდა, აქ ვიყო, ვიცხოვრო, მაგრამ, ვფიქრობ, იქიდან უფრო მეტს ვარგებ ჩემს ქვეყანას, მეტად დავეხმარები მას და ვიზრუნებ მის კეთილდღეობაზე.” _ გვეუბნება ჩვენი რესპონდენტი. მარიამი დაწყებით კლასში სწავლის დროს შეიყვანეს საბალეტო სკოლაში, რომელიც ნორდლაინ-ვესტფალეს მხარეში საუკეთესოა. ამ სკოლაში ჩასარიცხად მკაცრი კასტინგი გაიარა და 100-დან შერჩეულ 10 საუკეთესოში მოხვდა. გაიარა კლასიკური ბალეტის, მოდერნ ბალეტის და მოდის კურსები. შეისწავლა სხვადასხვა ცეკვა იმდენად კარგად, რომ ახლა უკვე ლათინო-ამერიკული ცეკვების სერტიფიცირებული პედაგოგია. არის გერმანიის სპორტული ცეკვების ფედერაციის წევრი. როგორც მოცეკვავეს, აქვს კონტაქტები სხვადასხვა ფესტივალის ორგანიზატორებთან. ხელმძღვანელობს ერთ-ერთ ცეკვის სტუდიას და არაერთ კონკურს-ფესტივალში მონაწილეობს. “სამტრედიის მაცნესთან” საუბარში მარიამმა განაცხადა: “სოციალური ქსელების მეშვეობით გავიცანი ბატონი ბეჟან გოგია და მისი მუსიკალური ჯგუფი “ლადი”, ასევე, ცეკვის ანსამბლი “ფარი” (ხელმძღვანელი გენადი გრიგოლია). ბატონი ბეჟანი 3 თვის განმავლობაში ინტენსიურად მიგზავნიდა ინტერნეტით ამ ანსამბლის ცეკვების ვიდეოვერსიებს. გამიჩნდა დიდი სურვილი, ამ ფესტივალზე წარმოჩენილიყო ჩვენი ტრადიციული ქართული ფოლკლორი, უფრო ახლოს გაგვეცნო ჩვენი კულტურა გერმანელებისათვის, დავეკონტაქტე ფესტივალის ორგანიზატორს. ის თავიდან წინააღმდეგი იყო, მასში ქართველებსაც მიეღოთ მონაწილეობა, მაგრამ, შემდეგ ბევრი ვესაუბრე ჩვენი ისტორიის და ტრადიციების შესახებ და იმდენად დავაინტერესე, ერთი კვირის მერე თვითონვე დაგვიკავშირდა და 4 წუთით გაზარდა საფესტივალო პროგრამა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ქართულ ანსამბლს ექნებოდა ფესტივალზე გამოსვლის უფლება. პირადად მე ვერ დავკმაყოფილდი მხოლოდ ვიდეოვერსიებით და საგანგებოდ ჩამოვედი ამ ანსამბლის მოცეკვავეთა გასაცნობად. ჩემთვის ყოველთვის მნიშვნელოვანია, გვქონდეს ურთიერთობა ჩვენს ყველა პარტნიორთან, ახლოს გავიცანი ბატონები ბეჟან გოგია და გენადი გრიგოლია, ვნახე შოუ-პროგრამა, რომელიც საფესტივალოდ მოამზადეს. ეს არის კავკასიური ცეკვა. მე ვიცი მათი გემოვნება და ის, თუ გერმანიაში რას ელოდებიან ჩვენგან, რა გაოცებთ მათ, იქ უნდათ ცეცხლოვანი ცეკვა, გარკვეული კორექტივები მეც შევიტანე, რაშიც ანსამბლის ხელმძღვანელი დამეთანხმა, ამ 5 დღეში ჩვენ შევთანხმდით, ჩვენი პროგრამა მაქსიმუმი ამ ფესტივალზე გამარჯვებაა. ჩამოსვლამდე დარწმუნებული ვიყავი ამ ანსამბლის შესაძლებლობებში. ამ ბავშვების გერმანიაში გამგზავრების და ფესტივალზე გამოსვლისათვის საჭირო ხარჯებს მე გავიღებ. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დატვირთული სამსახურებრივი რეჟიმი მაქვს _ თებერვალსა და მარტში სოციალური დაცვისა და ჯანმრთელობის სამინისტროში ექვსკვირიან პრაქტიკას გავდივარ, გამოვნახე დრო ჩვენს ბავშვებთან საურთიერთობოდ. მინდა, ევროპას გავაცნო სამტრედიელი ახალგაზრდები. პირველი რიგის ამოცანაა, გავიდეთ ფესტივალ-კონკურსის ფინალურ ეტაპზე. მინდა, კიდევ ერთხელ ჩავიყვანო გერმანიაში ჩვენი მოცეკვავეები, ვფიქრობ, ჩვენს ბავშვებს გამარჯვების დიდი შანსი აქვთ, გამარჯვებულს ძალზე კომპეტენტური ჟიური გამოავლენს.

ძალიან ვგულშემატკივრობ ბავშვებს და მათში ვხედავ ტალანტს, მონდომებას, ეს ცეკვა ხომ ჩვენს ისტორიას ჰყვება.”

მარიამი სტუმრად ყოფნის პერიოდში შეხვდა ჩვენი მუნიციპალიტეტის ხელისუფლების წარმომადგენლებს, საინტერესო და საქმიანი იყო შეხვედრა სამტრედიის რაიონულ პროკურორ მალხაზ გეწაძესთან, ასევე, საკრებულოს იურიდიული კომისიის თავმჯდომარე მანანა სირბილაძესთან. შეხვდა დიზაინერ მანია ვაშაკიძეს და მისი ნამუშევრებითაც დაინტერესდა. დიზაინერმა მას ევროპული მოდის დედაქალაქში საკუთარი ნამუშევრებიც გაატანა. როგორც მარიამმა გვითხრა, მისი ინტერესი ერთი კონკრეტული საკითხით არასოდეს იფარგლება.

მისთვის შთამბეჭდავი და ემოციური იყო გელათის ტაძრის მონახულება, სადაც ის ანსამბლ “ფარის” წევრებთან ერთად ღვთისმსახურებასაც დაესწრო. მარიამი მოიხიბლა ასევე პრომეთეს მღვიმით. გამოთქვა კმაყოფილება, რომ ბეჟან გოგიას სახით გაიცნო შრომისმოყვარე, გერმანული პუნქტუალობის მქონე ადამიანი. წასვლისას კი ემოციებს ვერ სძლია და ახლად შეძენილ ქართველ მეგობრებთან განშორების დროს ცრემლი მოერია.

ვყოთო ის, რასაც გრძნობ, მარიამისთვის თავისუფლებას ნიშნავს

ქეთევან ჭელიძე

რომ არაფერი თქვას, მისი ნახატები მაინც ჰყვებიან პატარა მხატვრის განწყობაზე. მშვენიერებისადმი მიდრეკილებაზე, ესთეტიურობაზე, ადამიანისადმი დამოკიდებულებასა და კიდევ ბევრ სხვაზე. მარიამ ტალახაძე პოზიტიური, მხიარული, იუმორით სავსე გოგონაა, რომელსაც უყვარს ფიქრი და თავისი თანატოლების უმრავლესობისაგან განსხვავებულად აზროვნებს.

თითქოს ადვილად იხატება. ფანქრის რამდენიმე მოსმა, რამდენიმე შტრიხი და ემოციებით გმუხტავს მომავალი შემოქმედის მხატვრული სამყარო _ გულწრფელი, ახალგაზრდული ფანტაზიებით ნასაზრდოები და ფიქრით დადინჯებული.









მარიამი სამტრედიის მე-3 საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეა. რედაქციაში დეიდასთან, თეა მეფარიშვილთან ერთად გვესტუმრა. სიტყვაძუნწი არ ვარო, ამბობს, მაგრამ საკუთარ თავზე ბევრს არაფერს გვიყვება. ლაპარაკზე ადრე ხატვა დაიწყო, ჯერ მხოლოდ ფერებს ურევდა ერთმანეთში, მერე პეიზაჟებიც დახატა. ფიქრობს, რომ ხატვის უნარი მისთვის გენეტიკურია, რადგან დეიდაც, ქეთი მეფარიშვილიც, ხატავდა. დღემდე სათუთად ინახავენ სახლში მარიამის პირველ გაურანდავ ნამუშევრებს.

ბევრს ხატავს, თითქმის მთელი დღე, ხატვის პროცესი დიდ სიხარულს ანიჭებს. სტილი და მიმდინარეობა, როგორც გვიხსნის, მისთვის პირობითია. "ძალიან ჭრელი ვარ და რომელი სტილი მოვირგო, ან მოვერგო, ამაზე არ ვფიქრობ, რასაც მინდა, იმას ვხატავ". _ გვიხსნის ის. წიგნის კითხვა და მუსიკა კი განსაკუთრებით ეხმარება, ნახატებად აქციოს, რაც ასე უყვარს. საკუთარი თავისადმი მთხოვნია, ხშირად ზედმეტად კრიტიკულიც. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლის გაგრძელებას სამხატვრო აკადემიაში აპირებს. ოცნებობს დიდი მხატვარი გახდეს.

სალვადორ დალიმ და ვან გოგიმ გარკვეული გავლენა იქონიეს მასზე. შეეცადა კიდეც, ვან გოგის "ვარსკვლავებიანი ღამე" გადაეხატა. ისეთი მხატვრიც ბევრია, გამორჩეულად რომ უყვარს.

ზოგადად განწყობა მარიამისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია, და არა მარტო ხატვის დროს. განწყობის შესაბამისად ირჩევს მუსიკას და მხატვრულ ლიტერატურას. გატაცებულია მითოლოგიით და საყვარელი გმირიც ჰყავს _ პოსეიდონი. სასწავლო საგნებს შორის უპირატესობას ქართულ ლიტერატურას და ინგლისურს ანიჭებს. საზაფხულო არდადეგების დროს კი ძმასთან, გიორგისთან ერთად თბილისის სახელმწიფო ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებულ სკოლაში სწავლობს. მარიამ ტალახაძე ცნობილი ჟურნალისტის, ტექნიკური უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის, დარეჯან მეფარიშვილის შვილია. დედის სახელს პრივილეგიად არასდროს იყენებს. ჟურნალისტი გამხდარიყო, ამის სურვილიც არასდროს გასჩენია. სახლში, სადაც მარიამი ცხოვრობს, ერთ-ერთი ფასეული განათლებისა და ცოდნის მიღებაა, ღიმილით გვიდასტურებს, რომ მათთან სწავლა და სულ სწავლაა მთავარი. ის, რომ მარიამი სასიამოვნო, კარგად აღზრდილია, ეს განსაკუთრებით მისი ბებიის, ნანი ჟორჟოლიანისა და ბაბუის, გივი მეფარიშვილის დამსახურებაა.

უყვარს კითხვა _ დეტექტიური და ფანტასტიკური ჟანრის ნაწარმოებებისთვის დროს ყოველთვის პოულობს. შემდეგ კი ლიტერატურული გმირები წიგნებიდან ფურცლებზე გადმოდიან და მათ მიმართ მარიამის დამოკიდებულებას გამოხატავენ. რევერი და საკი მისი საყვარელი მწერლებია. ძირითადად, თანამედროვე ლიტერატურითაა დაინტერესებული. თუ მისი ტოლები წიგნს ნაკლებად კითხულობენ, ამას კომპიუტერს აბრალებს. უმეტესად პრაგმატულები ვართ, ვიდრე რომანტიკულებიო, _ დასძენს. თავისი თაობის მიმართ უფროსების კრიტიკულ განწყობას არ იზიარებს, რადგან "მათი აღზრდილი თაობა მოვიდა. მათ ქცევებს ვითვალისწინებთ და ვიმეორებთ". საქართველოში ერთ-ერთ ყბადაღებულ თემად ქცეული აგრესია, მისი სკოლის მაგალითზე სხვაგვარად მოსჩანს: "არ ვართ აგრესიულები. ჩემს სკოლაში, შეიძლება, ვინმეს ვინმე არ მოსწონდეს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, სასიკვდილოდ გაიმეტოს".

"თვითონ წყნარი, მშვიდობისმოყვარე ბავშვია, _ გვიხასიათებს მარიამს ქალბატონი თეა, _ განერვიულებულიც რომ ხარ, ისე დაგარიგებს, ისეთ სიტყვას გეტყვის, რომ დაგაფიქრებს. მასზე უფროსი ვარ, მაგრამ ხშირად მინდება, ჩემი ყოფა-ცხოვრების რაღაც თავგადასავალი გავუზიარო, რათა მისგან აზრიანი, ლოგიკური რჩევა მივიღო. მირჩევნია, ვიდრე ჩემს დებს, რომლებმაც, შეიძლება, უფრო განიცადონ და საღ აზრამდე ვერ მივიდნენ, მარიამის ვეუბნები სათქმელს. ისიც ძალიან მშვიდად მოგისმენს, აწონ-დაწონის და დაგარიგებს. მიკვირს, ეს მე რატომ ვერ მოვიფიქრე".

აკეთო ის, რასაც გრძნობ, მარიამისთვის თავისუფლებას ნიშნავს. მაგრამ ეს საქმე საზიანო არ უნდა იყოს. ვაჟა-ფშაველას იშველიებს და თავისუფლებისადმი პოეტის შეხედულების ინტერპრეტაციას ახდენს.

ზოგიერთ ჩვენს ტრადიციას გადაჭარბებულად მიიჩნევს, თუმცა ტრადიციებისა და წარსულის ცოდნა, მათი გათავისება რომ აუცილებელია, ეს ჩვენმა რესპონდენტმა და მისმა მეგობრებმაც კარგად იციან.

"ძალიან მიყვარს ბავშვობისდროინდელი ჩემი ნახატები. ვისურვებდი, ახლაც შემეძლოს ისე თავისუფლად, სხვისთვის თავის მოწონების გარეშე ხატვა". _ ამბობს ის, ასეცაა. მარიამ ტალახაძის სამყარო სიყვარულით, მზითა და სინათლითაა სავსე. იქ ყველაფერი რეალურია. რეალურია ეს პატარა გოგოც, რომელსაც არასდროს უცდია საკუთარი პორტრეტის დახატვა და შევეცადეთ, ეს ჩვენ გაგვეკეთებინა.

მომავლის მემკვიდრეობა ინტელექტუალური ცნობადობისთვის

თეა ბაბუნაშვილი

თანამედროვეობის ერთ-ერთი უმთავრესი მისიაა, ნებისმიერი ქვეყანა თავისი კულტურული მიღწევების დემონსტრირებით საკუთარ საზღვრებსა და ჩარჩოებს გასცდეს. 2018 წლის შემოდგომაზე საპატიო სტუმრის სტატუსით საქართველოს სტუმრობა ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო ფესტივალზე, დროული და საუკეთესო საშუალებაა დანარჩენი მსოფლიოსათვის ჩვენი ქვეყნის უკეთ გასაცნობად. დროული იმიტომაც, რომ მიუხედავად საქართველოს ცნობადობისა, განსაკუთრებით ვიზალიბერალიზაციის შემდეგ, საშობლოდან გასული არაერთი ქართველის "დაშსახურებით", ჩვენი ქვეყნისა და ერისადმი პატივისცემამ რამდენადმე იკლო. ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის დირექტორი შედეა მეტრეველი, ერთ-ერთ ინტერნეტ გამოცემასთან ინტერვიუში აღნიშნავს, რომ ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა გახლავთ შესაძლებლობა: "ერთ კონკრეტულ ქვეყანას საშუალება მიეცეს მთელი წლის განმავლობაში გერმანიის სხვადასხვა ქალაქში წარმოადგინოს მთელი თავისი ინტელექტუალური რესურსი _ ლიტერატურა, თეატრი, მუსიკა, ფერწერა, კინო, ფოლკლორი, სამზარეულო და სხვა. გერმანია დიდ საკონცერტო დარბაზებში, გალერეებში, კინოთეატრებსა თეატრებში, ლიტერატურულ სალონებსა და ბიბლიოთეკებში მასპინძლობს სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებას სტუმარი ქვეყნის მიერ წინასწარ შემუშავებული პროგრამის მიხედვით."

და სანამ მეტი ცნობადობისათვის, გერმანია რომ მისცემს საქართველოს საერთაშორისო სარბიელზე, ფესტივალზე წარსდგებოდეს ქვეყანა, საქართველოს ერთ პატარა ქალაქში ღონისძიება გაიმართა, ღონისძიება, რომელიც საერაშორისო სარბიელს ვერ მიაწვდენს ხმას, მაგრამ კიდევ ერთი დადასტურებაა იმ დიდ ინტელექტისა, ასე უხვად რომ ატარებს ქვეყნის ყველა დიდი თუ პატარა ქალაქი.

სად, თუ არა ცენტრალურ ბიბლიოთეკაში, სამტრედიელთა ერთი ნაწილი ქართულ-გერმანულ ურთიერთობებზე საუბროდ მიიწვიეს. აქ გამართულ ღონისძიებებს ყოველთვის ინტელექტუალი და გემოვნებიანი პუბლიკა ჰყავს და ეს, ბუნებრივია, წიგნთან სიახლოვის გამო. სწორედ ამგვარი დამოკიდებულება განსაზღვრავს მომავლის მემკვიდრეობის შთამომავლობისადმი გადაცემას და ღონისძიებასაც ასე უწოდეს _ "მომავლის მემკვიდრეობა". ისევე როგორც სხვა არაერთის, მისი ჩატარების იდეაც გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" პასუხისმგებელ მდივანს, ლევან გაბეჩავას ეკუთვნის. იდეის ავტორს მხარი პედაგოგმა ნინო ტონიამ აუბა და ბიბლიოთეკის მთელი კოლექტივის მხარდაჭერით კიდევ ერთ საინტერესო საღამოს დაესწრნენ სამტრედიელები. მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში გერმანული ენა არ ისწავლება და ნინო ტონიაც ქართული ენის პედაგოგია, მისმა მოსწავლეებმა, წმინდა ნაზარი ლეჟავას სახელობის მართლმადიდებლური სკოლის აღსაზრდელებმა: მარიამ ლეჟავამ, ქრისტინე სულაკაძემ, სალომე ვაშაკიძემ, ელენე დოლიძემ, თებროლე და კესარია ივანიაძეებმა, ნინო შენგელიამ, ეკატერინე ტურძელაძემ, მათე შენგელიამ, მარიამ ვერულეიშვილმა და ნინიკო ტორონჯაძემ, მათთან ერთად ლუკა ტუღუშმა და ნინი აბრამიამ განავრცეს და საზოგადოებას გააცნეს ქართველების ღვაწლი ქართულ-გერმანულ ურთიერთობებში. წაიკითხეს ქართულ-გერმანული თარგმანები, შესაბამისი ამონარიდები ამ ორი ერის ურთიერთობებზე ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკიდან. "შეუძლებელია, ერთმა ღონისძიებამ ამოწუროს ეს თემა, მაგრამ ამჯერად ყურადღება იმ სამტრედიელებზე გავამახვილეთ, ვინც საკუთარი სიტყვა ხმამაღლა

ეტეს, რომ საქართველოს ღრმა ფესვები აქვს როგორც გერმანულ, ასევე ფრანგულ სინამდვილესთან. გერმანული ენის პედაგოგმა, ლია მაღულარიამ ისაუბრა იმაზე, რომ: "მარტო პედაგოგები ვერაფერს გავაკეთებთ, თუ მსგავს საკითხებში საზოგადოების მხარდაჭერაც არ გვექნა. ევროპაში შევდივართ ევროპული ენებით, რომელთა შესწავლამ, რატომღაც, უკანა პლანზე გადაიწია. თუკი სტატისტიკურ მონაცემებს გადავხედავთ, თუნდაც, რაიონებში, არა მგონია, საამაყოდ გვქონდეს საქმე. ამაში უპირველესად მშობლები ვართ დამნაშავე, რადგან სკოლებში შესასწავლად უცხო ენის არჩევის დროს, მოსწავლეები იმ ასაკში არიან, რომ მათ მაგიერ არჩევანს მშობლები აკეთებენ. ნუ დავუკარგავთ შვილებს საშუალებას, ჯეროვნად ეზიარონ ევროპულ კულტურას."

იგივე აზრი განავითარა საკუთარ გამოსვლაში ფრანგული ენისა და ლიტერატურის პადაგოგმა, გულიკო გოგიტიძემ: "ვუერთდები ღონისძიების პათოსს, მადლობას ვუხდი მის ორგანიზატორებს. მოგეხსენებათ, გერმანული ენა მსოფლიოში მოაზროვნეების, პოეტების, კომპოზიტორების, მეცნიერების ენადაა აღიარებული. მსოფლიო მემკვიდრეობის გრძელ სიაში, 36 გერმანულენოვანი წიგნია შესული. ეს სულაც არ არის გასაკვირი, რადგან საქმე გვაქვს შილერის, გოეთეს, ლაისტის, ჰაინეს და სხვათა ენაზე. აქაც აღინიშნა და მეც გავიხსენებ, კონსტანტინე გამსახურდიას დამოკიდებულებას გერმანული ენისა და ამ ქვეყნის მიმართ. მე ფრანგული ენის სპეციალისტი გახლავართ და მახსოვს, რა მოთხოვნილება და ინტერესი იყო საქართველოში ამ ენის შესწავლისადმი. გარდა ამისა, არ შემიძლია გულისტკივილი, ინგლისური ენის არასწორი პოპულარიზაციით სხვა ენების დაჩნინებისა, კიდევ ერთხელ დააფიქსირეს. დიდ ევროპულ ოჯახში დაბრუნებით აჟიტირებულებს, იქნებ დაგვიდგა დრო ამ საკითხზე დაბოლოს დაფიქრებისა. მით უმეტეს, რომ საქართველოს ღრმა ფესვები აქვს როგორც გერმანულ, ასევე ფრანგულ სინამდვილესთან. გერმანული ენის პედაგოგმა, ლია მაღულარიამ ისაუბრა იმაზე, რომ: "მარტო პედაგოგები ვერაფერს გავაკეთებთ, თუ მსგავს საკითხებში საზოგადოების მხარდაჭერაც არ გვექნა. ევროპაში შევდივართ ევროპული ენებით, რომელთა შესწავლამ, რატომღაც, უკანა პლანზე გადაიწია. თუკი სტატისტიკურ მონაცემებს გადავხედავთ, თუნდაც, რაიონებში, არა მგონია, საამაყოდ გვქონდეს საქმე. ამაში უპირველესად მშობლები ვართ დამნაშავე, რადგან სკოლებში შესასწავლად უცხო ენის არჩევის დროს, მოსწავლეები იმ ასაკში არიან, რომ მათ მაგიერ არჩევანს მშობლები აკეთებენ. ნუ დავუკარგავთ შვილებს საშუალებას, ჯეროვნად ეზიარონ ევროპულ კულტურას."

ბოლო პერიოდში ქვეყნიდან წასული ბევრი მოქალაქე სახელს უტეხს საქართველოს თავისი მოქმედებით. ამ ფონზე ორმაგად დასაფასებელია ის ადამიანები, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ, და უპირველესად საკუთარი ცხოვრების წესით, ქვეყნის სახელისა და ღირსებისათვის."

საკუთარი მოსაზრება გამოთქვა მეორე საჯარო სკოლის გერმანული ენის პედაგოგმა დალი ჯულაყიძემ.

საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა სპეციალისტმა ალეკო თევზაძემ ხაზი გაუსვა, რომ ეროვნულ სასწავლო გეგმაში არა მხოლოდ ერთი კონკრეტული ენაა მითითებული, არამედ ყველა ის, რომლებზეც აქ საუბარი იყო. ერთი ენისადმი მოთხოვნილება მშობლებისა და მოსწავლეების არჩევანითაა განპირობებული. გარდა ამისა, "გერმანია არის ქვეყანა, რომელმაც წააგო პირველი და მეორე მსოფლიო ომი და მიუხედავად ამისა, ფეხზე დადგომა და განვითარება უმოკლეს დროში მოახერხა საკუთარი ხალხის დისციპლინისა და შრომისმოყვარეობის ხარჯზე. ასე რომ, იგი მისაბაძი ქვეყანაა. გერმანია იყო ერთ-ერთი უპირველესი იმ ქვეყნებს შორის, ვინც აღიარა და მხარში დაუდგა საქართველოს დამოუკიდებლობის პირველივე ნაბიჯების გადადგმისას." _ განაგრძო მან. მისი გამოსვლის შემდეგ, ღონისძიება გასცდა მხოლოდ სამტრედიელი ქართველების გერმანიაში მოღვაწეობის ჩარჩოს და საუბარი იმ ქართველს შეეხო, ვინც გერმანია-საქართველოს და საქართველო-გერმანიას მთელი ცხოვრება დაუკავშირა, ალეკო თევზაძემ გრიგოლ რობაქიძის დამსახურებაზე ისაუბრა.

მსახიობისა და ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილემ, მზია ჩიხლაძე საუბარს კარლო კაჭარავას წიგნის ირგვლივ, რომელიც ყველა მკითხველისთვის ხელმისაწვდომია, ამ ცნობილ სამტრედიელზე პატარა მოგონება მოაყოლა. საკრებულოს წევრმა, ლიზა კრავეიშვილმა მადლობა გადაუხადა ორგანიზატორებს საინტერესო ღონისძიებისთვის. მან საზოდაგოებას მოაგონა მეორე მსოფლიო ომში ტყვედ ჩავარდნილი გერმანელების წვლილი საქართველოს სხვადასხვა ქალაქის, მათ შორის სამტრედიის ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაში. სამტრედიელთათვის ცნობილია, რომ "ნახალოვკაში" აგებული შენობებისა და მიწისქვეშა კომუნიკაციების მშენებლები, სწორედ გერმანელი ტყვეები იყვნენ. და არა მხოლოდ სამტრედიაში, საქართველოში ბევრგან შეხვდებით ასეთ შენობებს, ზოგან გერმანული დასახლებებიც არსებობდა. როგორც ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგმა ნინო ტონიამ აღნიშნა, "ჩვენ დღეს საერთაშორისო მნიშვნელობის ღონისძიება ჩავატარეთ, რომელიც გერმანია-საქართველოს ურთიერთობის 200 წლისთავს და ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საპატიო სტუმრის სტატუსით მიწვევას ეძღვნება. კულტუროლოგიაში მნიშვნელოვანია კულტურათა შორის დიალოგი. ჩვენი სურვილი იყო შეგვეკრიბა პროფესიული წრე, რომელიც სამართლიანად გრძნობს თავს შევიწროვებულად. ენა საკომუნიკაციო საშუალებაა, საერთაშორისო თვალსაზრისით ინგლისურ ენას იყენებენ და ბუნებრივია, სწრაფვა მისკენ მეტია, მაგრამ უსამართლობა იქნება, თუ ამ კონკრეტულ შემთხვევაში არ ვაღიარებთ გერმანული ენის მნიშვნელობასაც. ლინგვისტური ათვისების უნარი ყველას არ აქვს და ამა თუ იმ ქვეყნის კულტურასთან დაახლოება მოგვცემს კონკრეტული ქვეყნის შესახებ გარკვეულ წარმოდგენას. მინდა, მხარდაჭერა გამოვხატო ამ პროფესიული წრის მიმართ. ჩვენ გვაქვს კომუნიკაციები და მივაწვდენთ ხმას ამ ადამიანებს სამომავლოდ მსგავსი შეკრებისათვის. აქვე მინდა შეგახსენოთ ჩვენი ისტორია, მტრად მოსულ არაბობას როგორ იყენებდა საქართველო როგორც სიკეთის გამღვივებელ ძალას. გავერთიანდეთ გერმანული კულტურის გარშემო და ველოდოთ მომავალი თაობისგან გამოხმაურებას."

ქართული და გერმანული ჰიმნების ფონზე დაწყებული, სლაიდ შოუთუ გაფორმებული ეს ღონისძიება, ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორმა, ლამარა დუნდუამ გახსნა. მისასალმებელ სიტყვაში მან მადლობა გადაუხადა შეკრებილებს მობრძანების, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს კი თანადგომისათვის.

ღონისძიება მარიამ ტორონჯაძის, ანუ იმ ჯგუფის ერთ-ერთი წევრის, რომელმაც ბერლინში ებრაულად იმღერა, შესრულებული სიმღერისა და მართლმადიდებლური სკოლის მოსწავლეების მიერ ნაგალობევი ქართული საგალობლის ფონზე დასრულდა.

პუბლიკა ინტელექტუალურად დატვირთულ სხვა საღამოებზე დასწრების სურვილით ტოვებდა სამკითხველო დარბაზს.

პირბადის ქვეშ

თავისუფლება მორალში და მორალი თავისუფლებაში

ბავშვი ეს ეის სუფთა დაფა

თეა ბაბუნაშვილი

სიურპრიზის ნაწილია დღევანდელი ჩვენი რუბრიკა. სტუმარი მოსწავლეთა თხოვნით შეირჩა. დიახ, მასწავლებელია, სკოლის დირექტორობა მერე მოვიდა. და რაც პირველი საჯარო სკოლის დირექტორი გახდა, მისივე მოწოდებით პირველობენ პირველები!

ხათუნა ფაილაძე _ გვარ-სახელითვე ნათქვამია, რომ საუბარი მხიარულ, ინტელექტუალურ, ზედმეტი დოგმებისგან გათავისუფლებულ და ყველასა და ყველაფრის სიყვარულით გაჯერებულ ნოტაზე წარიმართება. ფიზიკა და მათემატიკაც ბლომად იქნება, მაგრამ საინტერესოდ და მარტივად. ასე იმიტომ, რომ ასეთია მისი გაკვეთილები და გაკვეთილებიც ისეთივე აქვს, როგორიც ცხოვრების სტილი. ამას ზედმეტი გართულებების გარეშე ახერხებს, რადგან მისთვის თავისუფლებაა ადამიანობის მორალი. ჩარჩო სტივმაში და ჩარჩოში სტივმა ისევე მარტივად ასახსნელი გახადა, როგორც ნებისმიერი რთული ფორმულა, მის გაკვეთილზე გამარტივებული.

სიურპრიზის ნაწილი კი იმიტომ, რომ 18 თებერვალს დაბადების დღე ჰქონდა ხათუნა მასწავლებელს. დიახ, მიულოცეს მოსწავლეებმა, ისე, როგორც მას შეეფერებოდა, "დინჯი ხმაურით", მხიარულად და განსხვავებულად.

და უთხრეს, რომ უყვართ, რომ დიდხანს უნდათ ჰყავდეთ, ისეთივე გულწრფელი და მოსიყვარულე, დღეს რომ არის. სჯერათ, უბერებელი იქნება, რადგან მისნაირები ცხოვრების ყველაზე რთულ ქარტეხილებსაც ადვილად უმკლავდებიან და ძალა შესწევთ, დიდი ბრძოლის შემდეგაც გულწრფელად გაიღიმონ.

გუერთდებით მათ სურვილებს და მილოცვას!

პირბადის ქვეშაც ისეთივეა ხათუნა ფაილაძე, როგორც მის გარეშე. ვიცი, მეთანხმებით, ბევრი იცნობთ. და რადგან ჩვენ ვერ გავაცნობთ, უბრალოდ, ვისაუბრებთ მასთან, როგორც ადამიანთან, რომელმაც შესძლო, თავისუფლების მორალი მორალურ ჩარჩოში მოექცია, რომელიც საინტერესოდ საუბრობს და ბევრ ისეთ კითხვას პასუხობს, ცხოვრებას რომ ამარტივებს.

_ **რატომ ხართ მასწავლებელი?**

_ არ მიფიქრია, ოდესმე მასწავლებელი თუ ვიქნებოდი, უფრო სამეცნიერო კუთხით მინდოდა მუშაობის გაგრძელება. ორი წელი პალეომაგნეტიზმის ლაბორატორიაში გეოფიზიკის კათედრაზეც ვმუშაობდი. 1994 წელს, სახელმწიფო უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ, სამტრედიაში მომიწია დაბრუნება. სად თუ არა, სკოლა იყო ჩემი რეალიზების საშუალება. თავდაპირველად ვითომ დროებით, მერე კი წლებმა მიმახვედრა, რომ დავრჩი და დავრჩი. ახლა ვერც წარმომიდგენია საკუთარი თავი სადმე სხვაგან, სკოლის და მასწავლებლობის გარდა.

_ **ბუნებრივია, პირველი გაკვეთილი გახსოვთ...**

_ ეს იყო მეათე კლასში, მეექვსე საშუალო სკოლაში. სადამრიგებლო კლასი მომცეს 22 წლის გოგოს. თუკი ცხოვრება, და არა მარტო მასწავლებლობა რამემ მასწავლა, ეს იყო მეექვსე საშუალო სკოლა, სადაც დამხვდა გენიოსთა შეკრება. ფიზიკას ლილი ხაჟალია ასწავლიდა. თუკი რამ ვიცი როგორც პედაგოგმა, სწორედ მისი დამსახურებაა. თუ ცხოვრებაში რამე არ შემეშლება, დარწმუნებული ვარ, იმიტომ, რომ ბედმა ზოია ჯინჭარაძეს შემახვედრა.. სამასწავლებლოში შეშის პატარა ღუმელის გვერდით მართლა ვსწავლობდით ცხოვრებას უფროსი თაობისგან. ბევრი ვიყავით, იმ წელს 16 ახალგაზრდა მასწავლებელი მივედით სკოლაში. ჰოდა, პირველ გაკვეთილზე 5-6 წლით ჩემზე უმცროს მოსწავლეებთან შევედი. თავიდან, მგონი, ვერც აღმიქვეს მასწავლებლად. ერთადერთი, რამაც მათ ეს განცდა მოჰგვარა და ჩემდამი, როგორც მასწავლებლისადმი პატივისცემა გამოიწვია, იყო ჩემი იმიჯი, სათვალე მეკეთა. მათთან ვილაპარაკე ჩემს სიყვარულზე ფიზიკის მიმართ...

_ **... და როგორია სიყვარული ფიზიკის მიმართ?**

_ მესამე კლასში ვიყავი, გაკვეთილზე ულამაზესი ახალგაზრდა გოგონა რომ შემოვიდა, გრძელი ნაწნავით. იგი ჩვენი მათემატიკის მასწავლებელი, რუსუდან მაღლაფერიძე აღმოჩნდა. თვალწინ მიდგას მისი სილამაზე, იგი გონებას დღემდე ასეთი დაამახსოვრდა. იმ წელს პირველად მოვიდა მესამე საჯარო სკოლაში. მახსოვს, სახლში მისულმა ვთქვი, რომ აუცილებლად სახელმწიფო უნივერსიტეტში უნდა ჩამებარებია და აუცილებლად მათემატიკის ფაკულტეტზე. სახელმწიფო უნივერსიტეტი მაშინაც და ახლაც მჟღერი სიტყვაა ჩემთვის. მეთერთმეტე კლასში, მათემატიკის კარგად ათვისებაში, ალბათ, ამ საგნის შესწავლის ნიჭმაც შემიწყო ხელი, რადგან მათემატიკა არის დისციპლინა, რომლის ნიჭიც ან გაქვს და ან არა! მეთერთმეტე კლასში უმაღლესი განათლების მისაღებად საგნების არჩევა რომ მომიწია, ერთერთ საგნად ფიზიკა უნდა ჩამებარებია. მზია კირთაძესთან დამატებით გადავწყვიტე მისი შესწავლა და მან "მომწამლა" ფიზიკით. მივხვდი, რომ ჩემგან უკეთესი ფიზიკოსი დადგებოდა, ვიდრე მათემატიკოსი. ყოველ შემთხვევაში, მაშინ ასე ვიფიქრე. და ეს იმიტომ, რომ ფიზიკა გაძლევს უდიდეს არეალს, იაზროვნო, იფიქრო, იმსჯელო და რაც მთავარია, იყო თავისუფალი. მათემატიკა უფრო დოგმებში ზის, ჩემთვის კი დოგმა მიუღებელია.

_ **ახსენეთ "თავისუფლად აზროვნების უნარი". თქვენი მოსწავლეებისგან ვიცი და ეს გარეგნულადაც გეტყობათ, რომ ხართ მასწავლებელი, "მოზღვავებული" და ამასთანავე, პედაგოგიურ დოგმებში მოქცეული თავისუფალი აზროვნებით. როგორ გაათანამედროვეთ, უფრო სწორად, გაათანამედროვეთ თუ არა ის პედაგოგიური დოგმები, რომელშიც ჩვენმა თაობამ გაიარა როგორც მოსწავლემ და შემდეგ, როგორც მასწავლებელმა?**

_ რთულია იყო პედაგოგი თანამედროვე სკოლაში, თუკი შენ არ ხარ ისეთივე თავისუფალი, როგორც ის თაობაა, რომელსაც ასწავლი. თუ შენს შესაძლებლობებში ვერ დარწმუნდები და საზოგადოება, რომელშიც ტრიალებ, არ ჩაგთვლის მის ტოლად და სწორად, არასდროს მიგიღებს. გაკვეთილზე ორი უკიდურესობაა: ან კლასი დუმს და მორჩა, ან არის ქაოსი. ორივე შემთხვევაში შენ შენთვის ხარ და კლასი ცალკე. პედაგოგიური დოგმა, რომელიც მასწავლებელს უნდა ჰქონდეს, არის ის, რომ გულწრფელად უყვარდეს ბავშვი და მიიღოს იგი ისეთი, როგორიც არის და არასდროს აიძულოს იყოს ის, რაც მას, მასწავლებელს უნდა. მასწავლებელს იმიტომ ჰქვია მასწავლებელი, თითოეული ბავშვი, თუნდაც, 500 განსხვავებული ხასიათი, მიიღოს ისეთი, როგორიც ისინი არიან. ბავშვები გულწრფელობას და შინაგან სისუფთავეს ყოველთვის ყველაზე უკეთ გრძნობენ. თუ დღევანდელ თაობას რამე პრობლემა აქვს, ეს იმიტომ, რომ ჩვენ ჯერ ისევ აბელ სეთურებისა და ციციკორე პაპების ეპოქაში ვცხოვრობთ. ვიდრე ამ მორალით ვიკვებებით, თავისუფლებას ვერ ვიპოვით. თავისუფლება აღვირახსნილობა არაა. და მკაცრად _ არაა! თავისუფლება უპირველესად სხვისი აზრის მიღება და გათვალისწინებაა. მიმღებლობა ყველაზე დიდი თავისუფლებაა. თუ ასე არ გაკეთე, ციციკორე პაპად იქცევი _ მე ვარ სამართალი და კანონი! მოსწავლეს უნდა მისცე აზროვნების საშუალება და ის შენი, თუნდაც, დოგმა, ისე უნდა შეაპარო, რომ თავად მას ეგონოს მისივე მოსაზრება. დიახ, ახალგაზრდა უნდა შეცდეს, შეცდომა მას ამ ასაკში ეპატიება. "შეუმცდარია გველაძუა სიბერე მხოლოდ" _ ამბობს მურმან ლებანიძე. ამ გველაძუა სიბერეს შეუმცდარად ის შეცდომებიანი ახალგაზრდობა აქცევს სწორედ. და გვირჩევნია კიდეც ახალგაზრდობა, თუნდაც, შეცდომებით, ხომ?! ეს ძიება ქმნის პროგრესს. და სხვათა შორის, მორალსაც. არ შეიძლება, დღევანდელ თაობას წინა თაობების მორალით ცხოვრება მოვთხოვოთ...

_ **მაგრამ მორალი იცვლება? დრო განსაზღვრავს მას?**

_ კი, იცვლება! დიდი ლიტერატორი არ გახლავართ, მაგრამ ძალიან მიყვარს ლიტერატურა და ზოგადად, წიგნი. თითქმის ყველა ლიტერატურული ნაწარმოები ამის მაგალითს გვაძლევს. მკლავის მოჭრა ხომ იყო ერთი განსაზღვრული ეპოქის მორალი, ხომ შეიცვალა და ვთქვით ცუდი, მიუღებელია! მთავარი მორალი ადამიანის სულის და არა ქცევის თავისუფლებაა. კიდევ ერთხელ ვამბობ, ყველაზე დიდი თავისუფლება, შენი აზრის დაფიქსირებასთან ერთად, სხვისი აზრის მიმღებლობა და ამ ჭიდილში ჭეშმარიტებამდე მისვლაა. დიახ, იქ მთავრდება ჩემი თავისუფლება, სადაც სხვისი იწყება!

_ **ასე მოაზროვნეს ალბათ არც გექნებათ პრობლემები ურთიერთობაში მოსწავლეებთან, კოლეგებთან, ზოგადად ადამიანებთან და სრულიად სამყაროსთან?**

_ 90-იანი წლების ჩემს ყოფილ მოსწავლეებს დღეს შვილები ჰყავთ ჩვენს სკოლაში, მშობლები არიან. მეუბნებიან, რომ დაგინახავთ, ახლაც გაგვაკანკალებს, ისეთი მკაცრი იყავიო. დიახ, ვიყავი მაშინ ძალიან მკაცრი პედაგოგი. ეტყობა, დროის გარკვეულ პერიოდს მისი მოაქვს, ყველა ადამიანს თვითდამკვიდრების თავისი ფორმა აქვს. ის პერიოდი, შავბნელი 90-იანები ასეთი იყო, მხედრიონის დრო, მკაცრი და დაუნდობელი, რომელსაც მარტო იმიტომ ვიხსენებთ ტკბილად, რომ ცოცხალი, როგორც ახლა ვეძახით, "ლაივ" ურთიერთობები გვქონდა. მაშინ ძლიერი თუ არ იყავი, მუშტს თუ არ ურტყამდი, ლიდერად თუ არ აღგიქვამდნენ, ვერ დამკვიდრდებოდი. ალბათ, ამიტომ მოსწავლეებთან მკაცრი, თვალებბრიალა, წარბშეკრული და დოგმატური გახლდით, მოსწავლეების იქეთ სხვანაირი. იმდენად მღლიდა საკუთარი მიმიკა, სახლში მისული სიმკაცრისთვის დაჭიმულ სახეს ვასვენებდი. შემდეგ ცხოვრებამ მოიტანა ის, რომ ჯერ ამ სიმკაცრის დარბილება შევძელითი, შემდეგ გათავისუფლება. ახლაც ვარ წარბშეკრული მასწავლებელი, თუ საჭიროა, მკაცრი დირექტორი, მაგრამ ვცდილობ, ამის უკან არავინ დავთრგუნო. ამის საშუალებას, უპირველესად, დღევანდელობა მაძლევს. ჩემი დედამთილი ხუმრობდა, ხათუნა ისე ლამაზად და მოხატულად გისაყვედურებს, ვერ მიხვდები, რომ უნდა გეწყინოსო...

_ **სკოლის დირექტორი ხათუნა ფაილაძე როგორ აფასებს პედაგოგის დამოკიდებულებას სახელმწიფოსადმი და პირიქით, სახელმწიფოსას პედაგოგისადმი?**

_ ვფიქრობ, ყველაფერი მოდის იქედან, რომ ცალ-ცალკე დარჩა პედაგოგი და სახელმწიფო. და რადგან ეს ასეა, ამიტომ არ არის სკოლის საქმე კარგად. პედაგოგმა ბავშვი სახელმწიფოებრივად მოაზროვნედ უნდა აღზარდო. ბავშვი არ არის სუფთა დაფა, იგი დაბადებიდანვე ინდივიდია და რისი მიღებაც არ უნდა, ვერაფრით მიაღებინებ, მაგრამ უნდა ეცადო, მის აზროვნებაში სახელმწიფოებრივად მიაზროვნის შტრიხი სკოლის ასაკიდანვე შეიტანო. ერთი შეხედვით ვერ ვიტყვით, რომ სახელმწიფო არ ზრუნავს მასწავლებელსა და ზოგადად, სასწავლო პროცესზე. მაგრამ... ავიღოთ, თუნდაც, რეფორმები. ჩვენ ხომ არაერთი წელია მუდმივად რეფორმებში ვცხოვრობთ, ერთის დამთავრებამდე დაწყებულ სხვა, ახალ რეფორმებში და არც ერთი ბოლომდე მიყვანილი, შედეგ დადებული არ გვინახავს. ალბათ, ესეც ბევრს განაპირობებს. მასწავლებელი, რომელიც მასწავლებლადაა დაბადებული და წლებია აკეთებს ამ საქმეს, არ იცვლება, იგი ისეთია, როგორიც უნდა იყოს, და დღემდე სახელმწიფოებრივად ზრდის მოსწავლეებს. მაგრამ სკოლა ვერაფერს გახდება, თაობის აღზრდაში საზოგადოება და ოჯახი თუ არ დაეხმარა.

_ **დღეს ხშირად შეხვდებით მშობელს, რომელიც აპროტესტებს, რომ პედაგოგმა ხმას აუწია გაკვეთილზე, მოსწავლეს შენიშვნა ამა თუ იმ ფორმით მისცა, თუნდაც, ყური აუწია. რას აძლევს მოსწავლეების უფლებების გადამეტებული დაცვა და პედაგოგის უფლებების უგულებელყოფა დღევანდელ სკოლას? იქამდე მშობლის უფლებებიც რამდენადმე შეზღუდული და შვილების პირიქით, გაფეტიშებულია.**

_ უფლებები ყველას გვაქვს, არსად წერია, რომ მასწავლებელს უფლება არ აქვს. მაგრამ ვახდენთ სხვადასხვა უფლებების გაპიარებას. ფიზიკური ძალადობის წინააღმდეგი მეც გახლავართ. ყურის აწევით საქმე არ კეთდება. ფიზიკური ძალადობით მოსწავლე ჩაგვრას სწავლობს და წრეზე დატრიალებული ჩაგვრა ჩაგვრად, სიკეთე კი სიკეთედ გიბრუნდება. სტივმა ბავშვობიდანვე არ უნდა დაანახო ბავშვს. ჩემი მოსწავლეობიდან მახსოვს, ჩემს რომელ თანაკლასელს აუწიეს ყური და ვინ დააყენეს კუთხეში. იმის მერე წლები გავიდა, ურთიერთობები შეიცვალა, მაგრამ ჩემს მეხსიერებაში ისევ კუთხეში მდგომი თანაკლასელია ის თანაკლასელი. დღეს მძიმე სოციალური ფონია ჩვენს ქვეყანაში. მოგეხსენებათ, რამდენი მშობელია ქვეყნის გარეთ გასული და რამდენი შვილია მშობლის, განსაკუთრებით დედის ზრუნვას მოკლებული. ამიტომ, მორალის კითხვის დრო ნაკლებადაა, უფრო დახმარება სჭირდებათ ამ ბავშვებს, სითბოს გაცემა და თანადგომა. ზოგი მშიერია სახლიდან მოსული, ზოგს, ვინ იცის, რა პრობლემა აქვს. თუმცა, ასევეა პედაგოგიც, გაკვეთილზე შესულს რა არ უტრიალებს თავში, ბანკი, სიცივე, შიმშილი... მაგრამ იგი პედაგოგია და მას მეტი მოეთხოვება!

_ **რეფორმებზე ვსაუბრობდით, საჭიროებაა თუ შესაძლებლობა სკოლისთვის რეპეტიტორის ინსტიტუტი?**

_ ეს დიდი პრობლემა და დიდი ტკივილია. რეპეტიტორის ინსტიტუტის გაძლიერებას მასწავლებლისადმი საზოგადოების, მშობლების არასწორმა დამოკიდებულებამ შეუწყო ხელი. მასწავლებელს სათანადო პატივისცემა სჭირდება. მშობლისგან რომ გაიგონებს, რა უნდა ამ შენს მასწავლებელს, ხომ გამიხმო გული, ან კიდევ: კაი ერთი, მაგარია მაგ შენი მასწავლებელი, მოსწავლე იქ კარგავს მასწავლებლისადმი პატივისცემას. ჩამოყალიბდა სტივმა _ ჩემი შვილი სკოლაში ვერ ღებულობს განათლებას! არადა, ჩემი შვილი სკოლაში ღებულობს განათლებას! და ასეთი არაერთი ბავშვია. მოსწავლეს, რომლის მშობელიც დარწმუნებულია იმაში, რომ მისი შვილი სკოლაში ღებულობს განათლებას, არ სჭირდება რეპეტიტორი. ჩემს სკოლაში არის მასწავლებელი, ციური ხურცილავა, ფიზიკის უძლიერესი პედაგოგი და ცნობილი რეპეტიტორი. იგი არავითარ შემთხვევაში არ მოამზადებს საკუთარ მოსწავლეს. ყოველთვის ეუბნება მათ, გაკვეთილზე უფრო მეტს გასწავლით, ვიდრე სახლშიო. მაგრამ მშობელი ფიქრობს, რომ მისმა შვილმა აუცილებლად სახლში უნდა იმეცადინოს მასთან, ან სხვასთან. რა დროსაც ეს ბავშვები ქუჩაში, რეპეტიტორებს შორის სიარულში ხარჯავენ, სახლში რომ დასხდნენ და იმეცადინონ, მიუღწეველი მართლა არაფერი იქნება. მაგრამ აქ პირველ რიგში, მშობლის მოუცლელობა ან სიზარმაცეა, შრომის სიზარმაცეა და ერთმანეთზე აცმულ ამ ჯაჭვს რეპეტიტორთან მივყავართ. რაღაცის ნიჭი ან გაქვს, ან არა, ყველაფრის ნიჭი ვერ გექნება. მაგალითად, ყველა ვერ წერს ლექსს, ყველა ვერ ხსნის სწრაფად და სწორად ამოცანას, მაგრამ ის ნიჭი უნდა განვავითაროთ, რისიც გვაქვს. იქნებ ცოდნის თავ-

→

გაილვიძე, დრო მოვიდა!



ჩემი ამოდენა გარჯის ინსპირაციის წყარო გადაცემა ''პრაიმ შოუ'' არის. ყველაზე მეტად, რამაც შემძრა _ ეს პატარა გოგონათა წინდაცვეთაა. მით უფრო, რომ ეს აქ ხდება ჩვენს მიწაზე, ქართულენოვან სოციუმში. რას ვიზამთ, ჩვენთან ხომ რწმენის თავისუფალი გამოხატვის ნება აქვთ! ამაზე შორსაც მიდიან ზოგ რელიგიურ სექტაში, რომელთა რაოდენობა 90-იანი წლებიდან საოცრად იზრდება!

ახლა, რაც შეეხება თემას _ ქალისა და მამაკაცის სასიყვარულო ურთიერთობების თანამედროვე პრობლემებს. ამ საკითხს შორეული ფესვები აქვს და ამიტომ შორიდანაც უნდა დავიწყოთ, დიახ, ცხოვრების ნებისმიერი ახალი ფორმა ქმნის ახალ ადამიანს. დღეს, უკვე თავისუფალი ადამიანი, თითქმის შიშველი ინსტიქტებითა და უზარმაზარი შესაძლებლობებით, პირისპირ დგას გარემოში არსებულ, ბევრი მანკიერი წრით ჩამოყალიბებულ მოვლენათა წინაშე. თავისუფლებაზე გამახსენდა: დღეს დასავლეთში ღმერთს, რომის პაპს, ქრისტიანობასა და ეროვნულ იდენტობას თავისუფლების სახელით ებრძვიან. ჩვენთან კი, 90-იან წლებში, თავისუფლებისათვის ბრძოლა სწორედ ''ღმერთი ჩვენთან არს'' ძახილით, ეროვნული მოძრაობითა და ეკლესიის მსახურების თანადგომით დაიწყო. იმედი ვიქონიოთ, რომ იქნება, სწორედ ამან გადაგვარჩინოს და ბოლოს და ბოლოს, ღმერთი ჩვენთან მართლაც ''არს და იყოს''. ამისათვის კი საჭიროა, კარგად გვესმოდეს, რას ნიშნავს ''ღმერთი ჩვენთან არს და იყოს!''

თავდაპირველად კი ღმერთმა მეექვსე დღეს გააჩინა _ ადამიანი, თავის ხატად და მსგავსად და ქალის შექმნით დაასრულა კიდეც სამყაროს სრულყოფა. დიახ, ქალი სამყაროს ბოლო და ამიტომ შეიძლება ითქვას, ყველაზე სრულქმნილი არსებაა. იმავდროულად, ქალისა და ოდითგან სიბრძნის სიმბოლოდ წოდებული გველისაგან მოდის პირველი შეცოდება და სურვილი ხე ცნობადის, კეთილისა და ბოროტის, აკრძალული ნაყოფის დაგემოვნებისა და შეცნობისა. თუმცა, ეს შეცოდება ხილული სამყაროს შეცნობის რთული, ცოდვით დატვირთული, მაგრამ მნიშვნელოვანი დასაწყისია...

საუკუნეების განმავლობაში ქალის ცხოვრების წესი (განსაკუთრებით საქართველოს რეალობაში), ქალწულობის ინსტიტუტის არსებობით, არასასურველი ფეხმძიმობის საშიშროებით, ფიზიკური სისუსტით, მისი სხვადასხვა მოთხოვნილების შეზღუდვითა და მრავალი აკრძალვით იყო შემოსაზღვრული. ეს ყოველივე ქალში თავდაცვის რეფლექსის გაძლიერებასა და მამაკაცისგან ერთგვარ განრიდებასაც განაპირობებდა. შესაბამისად, ქალის აზროვნება, უმრავლეს შემთხვევაში, მამაკაცის კლასიკური აზროვნებისაგან განსხვავებით, მართალია, ღრმა და ემოციური, ამავდროულად, შეიძლება ითქვას, შეზღუდულიც კი იყო.

თუმცა ამ აკრძალვებით, სისუსტითა და დაცვითი თვისებების გამომუშავებით შესაძლებელი გახდა ქალს სიცოცხლის ''შემნახავის'', ''სიცოცხლის შემოქმედის'' როლი წარმატებით შეესრულებინა. თავის მხრივ, ცხოვრების შედარებით დაცული პირობები ქალს მაღალი მორალური და სარწმუნოებრივი პრინციპების დაცვის საშუალებასაც აძლევდა. შეძლებისდაგვარად, ამ ფუნქციას ასრულებდა კიდეც. ხოლო ქალის დაცვის, მოპოვებისა და დაუფლებისათვის რთული გზა მამაკაცში საკუთარი უპირატესობის შეგრძნებას ბადებდა, რაც ქალზე ზრუნვის მოთხოვნილებასაც აღუძრავდა. ურთიერთობის ინიციატორადაც მამაკაცი გვევლინებოდა, რომელიც მთელი თავისი არსებით იცავდა ქალსაც და ქვეყანასაც ათასგვარი საშიშროებისაგან.

ამავდროულად, ცხოვრების ასეთ პირობებში, მამაკაცის მიერ გამოჩენილი პატარა ყურადღებაც კი ქალში დიდ ემოციურ მღელვარებასა და სქესობრივ ლტოლვას იწვევდა, რადგან იგი მოლოდინის რეჟიმში, ქრისტიანული ცხოვრების წესით ცხოვრობდა და ამ თვალსაზრისით მისი სქესობრივი _ ენდოკრინული აპარატი, ფიგურალურად რომ ვთქვათ, ''მზაობის'' რეჟიმში ''ნოყიერ'' ნიადაგს წარმოადგენდა მამაკაცთან ურთიერთობისთვის.

ყოველივე ეს კი მამაკაცური ნიშატის _ მიზანსწრაფულობის, პირდაპირობისა და შეუპოვრობის განვითარებისათვის საჭირო ნიადაგს ქმნიდა. ხოლო არსებული ფუნქციური დატვირთვა მამაკაცის ჯანსაღ ჰორმონალურ განვითარებასაც უწყობდა ხელს.

მეოცე საუკუნეში, როცა ქალი გათავისუფლდა ზემოთ დასახელებული თითქმის ყველა დამაბრკოლებელი ფაქტორისგან, რომელიც ხელს უშლიდა მის განვითარებას, მისი პოტენციური შესაძლებლობები გაიზარდა, სწორედ ამიტომ, თანდათანობით, მას უკვე გააჩნია არა მხოლოდ ქალური ემოციური, არამედ მამაკაცური კლასიკური აზროვნებაც, ანუ მისი აზროვნება გაორმაგდა და შეიჭრა მეცნიერების ყოველ სფეროში. თითქმის ყველა პროფესიაში წარმატებას მიაღწია, სწორედ ამიტომაც თანამედროვე ქალმა XXI საუკუნის რთულ, გაუსაძლის პერიოდს ბევრ მამაკაცზე უფრო მეტად გაუძლო, თავის გადასარჩენად მეტი საშუალება გამოძებნა, გაძლიერდა და ბევრჯერ გამოდევნა კიდეც მამაკაცი თავის საარსებო სივრციდან. ბოლოს ქალის ''აღმასვლა'' იქამდეც მივიდა, რომ დღეს იგი თითქმის აღარ წარმოადგენს მამაკაცის დაცვისა და ზრუნვის სუსტ ობიექტს.

თანდათანობით ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაში ყველაფერი გაცილებით უბრალო და ადვილად მისაღწევი გახდა. მკაცრი და დატვირთული ცხოვრების წესმა დროის დეფიციტში მოახვედრა ფიქრი, ოცნება და სხვადასხვა სასიყვარულო გარჯა. ერთგულება პიროვნული განვითარების დამაბრკოლებელ ფაქტორადაც დასახელდა. ამაღლებული ემოციური მუხტის დეფიციტმა კი თითქმის ჩაკლა ქალისადმი შორეული, იდუმალი ლტოლვის მოთხოვნილება.

ქალის სექსუალური მრუდი კი თანდათან იზრდება... და ზოგჯერ არცთუ პოზიტიურ კვალს ტოვებს ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაში. შესაბამისად აბსურდულია გენდერული და ფემინისტური ორგანიზაციების ყოველი კეთილშობილური მიზანი მხოლოდ ქალთა დაცვის თვალსაზრისით, თუ გათვალისწინებული არ იქნა მამაკაცთა ინტერესები, მოთხოვნილებები და, რაც მთავარია, მათი პროფესიული რეალიზების საკითხი, მით უფრო, მამაკაცის ქალისადმი თითქმის ყოველი აგრესიული ქმედება, ძირითადად, გამოწვეულია საკუთარი არასრულფასოვნების ქვეცნობიერი შეგრძნებით და ქალის სხვადასხვა, არსებული თუ პოტენციური შესაძლებლობისა და წარმატების მიმართ არაჯანსაღი დამოკიდებულებით (ცხადია, ვსაუბრობ არსებულ ტენდენციაზე და ბუნებრივია, გამოთქმული მოსაზრებები არ ეხება ყველა მამაკაცს და არც ყველა ქალს).

თანდათანობით, ბუნებრივი ემოციური მუხტის ნაკლებობამ, თავის მხრივ, ძალიან გაზარდა ხელოვნურად აღმგზნებ ნარკოტიკულ საშუალებებზე მოთხოვნილება, რომელიც ყოველთვის აღწევს ადამიანის სულიერების არქეტიპულ საზღვრებში და შიშველი ინსტინქტური გამოვლინების გარმავლებასაც განაპირობებს.

და სწორედ, ყოველივე ამან გამოიწვია ადამიანში როგორც ლიბიდ-

←

მოსაყრელად დაგვჭირდეს წაშველება, რეპეტიტორის ჩარევა, მაგრამ არა იმ დოზით და ფორმით, როგორც ეს დღეს ხდება. თბილისიდან სამტრედიაში სასწავლებლად გადმოსული ჩემი ძმისშვილი გაოცებულია, სკოლაში გაკვეთილები გვიტარდება, იქ კი, მეცხრე კლასის მერე არაფერი ჩამტარებიაო. ეს პროცესები დიდი ქალაქებიდან მოდის, თორემ პერიფერიებში უფრო იღებენ ცოდნას მოსწავლეები.

_ რამდენადმე ვხვდები თქვენს დამოკიდებულებას იმ მოსაზრებისადმი, რომ დღევანდელი თაობა წიგნს დაშორდა.

_ უბედურება არ არის, რომ ის ლიტერატურა არ წაიკითხა, რასაც ჩვენი თაობა კითხულობდა. ინფორმაცია, თუნდაც, ცოდნა სხვა წყაროებიდან მიიღო, ჩვენი თაობისგან განსხვავებული ფორმით მიიღო, სხვა რამ წაიკითხა, თუნდაც ''ჰარი პოტერი.'' ''ჰარი პოტერი'' ჯადოქრების წიგნი არ არის, იგი ხომ სიკეთეს, მეგობრებისთვის ბრძოლას, სამართლიანობას ასწავლის ბავშვს. მოუვა დრო, მოენატრება სითბო და სიყვარული და დუმბაძესაც წაიკითხავს, მერე კიდევ სხვას და სხვას. მთავარია, კრიტიკული აზროვნება ისწავლოს, პროგრესს მიეჩვიოს. ფრაზებს შორის რომ წაიკითხავ კომბლეს, ის უფროა გენიოსობა, ვიდრე 10 კუპლეტიან ლექსს რომ ჩამოარაკრაკებ და არ გესმის რას ამბობ. რატომ არავის უკვირს ჩვილი ლაპარაკს რომ იწყებს? რატომ არავინ ფიქრობს, როგორ ისწავლა მან სიტყვა? ამიტომ სულ არაა გასაკვირი გრძელი ლექსის დაზუთხვა, მთავარი იმის გაზრებაა, რასაც ამბობ, აზრის ჩამოყალიბება და კრიტიკული აზროვნება.

_ ის, რომ ხათუნა მასწავლებელმა საკუთარ ძაღლს დაბადების დღე გადაუხადა, ქათმის ბარკლების ტორტი მოურთო, წვეტიანი ფერადი ქუდები დააბურა, კიდევ ერთი საბაბი გახდა თქვენზე შეყვარებული მოსწავლეების თქვენთან აღფრთოვანების...

_ ჰო, ეს მართლა სასაცილო იყო. სახლში ძაღლები ჩემი შვილის გამო მყავს. მას ძალიან უნდოდა ეს. თავიდან ქუჩის ძაღლები მივიჩვიეთ და ვაპურებდით, ეზოში გვყავდა. მერე ბავშვმა მინდომა და ''კოკისპანიერი'' შევიძინეთ. ძალიან უყვარდა და მეც დავთანხმდი ოთხფეხა მეგობარი ჰყოლოდა, მისგან ესწავლა სიყვარული, პირველი ტკივილების ატანა. სამწუხაროდ, მანქანამ მოკლა ჩვენი პირველი ლეკვი. მთელმა ოჯახმა ისე განვიცადეთ, როგორც ძალიან ახლობელი ადამიანის, ოჯახის წევრის დაკარგვა. მეგობრებმა მალევე გვაჩუქეს პეკინესის ჯიშის ლეკვი, მალევე კიდევ ერთი შევიძინეთ და ახლა ორი ლეკვი გვყავს, ლუსიტო და პეტიკო. რა თქმა უნდა, მათ თავისი პასპორტი აქვთ. აღმოვაჩინეთ, რომ პეტიკოს დაბადების დღე ჰქონდა. საგანგებოდ მოვრთეთ სახლი, ფრაკებში გამოწყობილ ლუსიტოს და პეტიკოს მეზობელი ძაღლები ესტუმრნენ, საჩუქრად შევუფუთეთ ძვლები. ერთი სიტყვით, არ ვიცი ძაღლებმა როგორ, მაგრამ ჩვენ და ჩვენმა მეგობრებმა ძალიან ვიხალისეთ. ადამიანს რა ახარებს? _ ის, რომ ხედავს როგორ უყვარს სხვას, მის დანახვაზე თვალები რომ უბრწყინდებათ. ჰოდა, დიდი სიხარულია, სახლში შესულს თავპირისმტვრევით რომ შემოგეგებებიან. მერე რა, რომ ძაღლები არიან და არა ადამიანები. თუ მათ სიყვარულს შესძლებ, ადამიანების შეყვარებაც გიადვილდება.

_ სახლშიც დირექტორია ხათუნა ფაილაძე?

_ ოო, არა, სახლში _ ერთპიროვნულად ჩემი მეუღლე! ისე, დემოკრატია უფრო გვაქვს ოჯახში. თუმცა, ზოგჯერ იცის შეხსენება, შენ აქაც დირექტორი ხომ არ გგონია თავიო. ხომ იცით, რომ მიეჩვევი, წაგცდება ზოგჯერ. თუმცა, სახლში დირექტორი ჩემი შვილია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ზედმეტად ვათამამებთ. არასდროს მავიწყდება ზოია ჯინჭარაძის სიტყვები, იმ ''ფეჩისპირა საუბრებიდან'', ყოველთვის ვცდილობდი, ჩემი შვილებისთვის ისეთი რამ არ ამეკრძალა, რომელიც ძალიან უნდოდათ და ჩემგან დამალული მაინც გაკეთებდნენო. არ მინდოდა ამით ჩემდამი წინააღმდეგობა გამომემუშავებია მათშიო. მეც ვცდილობ, ისეთი რამ არ ავუკრძალო ჩემს შვილს, რაც გულით უნდა.

_ ახსენეთ, ''სიყვარული ვერტიკალურია და ბრუნვადიო'' და თქვენი ვერტიკალური და ბრუნვადი სიყვარული როგორი იყო?

_ მრავალწლიანი ისტორია აქვს ჩვენს სიყვარულს. მე მეოთხე კლასში ვიყავი, იური კიკაჩეიშვილი _ მეხუთეში, თვალი რომ დამადგა. მას მერე სკოლაში სწავლის 8 წლის მანძილზე სადაც არ უნდა გამეხედა, ყველგან მას ვხვდებოდი. მაგრამ როგორც შეყვარებულები რვაჯერ არ შევხვედრივართ ერთმანეთს, იმიტომ, რომ მეც ის დოგმები მქონდა, რაც ჩვენი თაობის ყველა გოგოს, ყინულის დედოფალი უნდა ვყოფილიყავი. დედაჩემი უფრო თანაუგრძნობდა, ვიდრე მე. მერე, როგორც ხდებოდა, ძალიან ადრეულ ასაკში დავქორწინდით. და ამას დღემდე ვაპროტესტებ _ არ შეიძლება ადრეულ ასაკში დაქორწინება! თუმცა, ჩემს შემთხვევაში ქორწინების შემდეგ არაფრით შეგზღუდულვარ, მეტიც, ქცევითი თავისუფლება მერე უფრო მეტი მქონდა, ვიდრე მანამდე. მან თავისი თავისუფლება მანდო და მე ჩემი ვანდე. არა აქვს მნიშვნელობა, გათხოვილია ქალი თუ გაუთხოვარი, მას აქვს მორალური ჩარჩო და სწორედ ჩემი მორალური ჩარჩოა ჩემი თავისუფლება. მე ეს მგონია ცოლ-ქმრობა, რადგან ადამიანს თავისუფლებაზე უკეთესი არაფერი გააჩნია და მას ანდობ იმას, ვინც ყველაზე სანდოა შენთვის. საკუთარი თავისუფლება ცოლ-ქმარმა ერთმანეთს უნდა შეუთავსოს. ასე მოვდივართ. 27 წელი ხდება პირველ მაისს, რაც ჩვენი ოჯახი შეიქმნა და არაერთი სირთულის, პრობლემის მიუხედავად, 27 დღე არ მახსოვს წყენით დაღამებული. ჩვენ კარგად ვიცნობთ ერთმანეთს, ერთმანეთზე ავეწყეთ, შევეჩვიეთ და სწორედ ეს შეჩვევაა ყველაზე დიდი და სანდო სიყვარული.

_ და მერე იყო საკმაოდ დიდი ოჯახი...

_ დიახ, დიდი ოჯახი ძალიან კარგი დედამთილ-მამამთილით. მამამთილი ჩვენი დაქორწინებიდან 8 წელიწადში გარდაიცვალა. ძალიან კარგი ადამიანი გახლდათ, უწყინარი. რომ გავთხოვდი დედამთილი 36 წლისა იყო, მხიარული, თავისუფალი რძალ-დედამთილის დოგმებისგან. შეხმატკბილებული და თბილი დიდი ოჯახი გვქონდა.

_ როგორც ვიცი, სალათების დედოფლად იცნობენ ხათუნა ფაილაძეს

_ ჰო, მეზობლები და ახლობლები მეძახდნენ ასე. თუ რამე ახალი სალათი იყო, სამტრედიაში პირველს უნდა გამეკეთებია. დღეს ასე მოდური და პოპულარული ''ცეზარი'' 1995 წელში გავაკეთე სამტრედიაში. დრო ცოტა მრჩება, თორემ, რომ იტყვიან, გამომდის სამზარეულო, გემრიელი ხელი მაქვს.

_ ვინ დიასახლისობს თქვენს ოჯახში?

_ დედა. მე მაქვს ბედნიერება, გვერდით მყავდეს დედა, დედა, რომელსაც არ ჰქონია მისი ცხოვრება, საკუთარი თავი ჩვენ, მე და ჩემს ძმას გვაჩუქა 30 წლის ასაკში დაქვრივებულმა. ღმერთი არ მაპატიებს, მას სათანადოდ არ ვცე პატივი. ცნობილი იგავისა არ იყოს, ის გოდორი ყველა შვილს რომ დასჭირდება, ვიცით. და ვისურვო მინდა, როგორც დედამ და როგორც შვილმა, რეალობაში იგავი იგავად დარჩეს!

_ სხვათა შორის, ვიცი ის რძალი ხართ, მული განაჩეჩი რომ ჰყავს და არა ერთხელ...

_ დიახ, ნამდვილად!ეს ღიმილიანი თემაა. 5 წლისა დამხვდა სოფო. ჩემი გაზრდილია. რომ მაბრაზებდა, ვჩეჩავდი კიდეც. ძალიან მიყვარს და მასაც ვუყვარვარ. იმხელა ავტორიტეტი ვიყავი მისთვის, ჩემი დედამთილი ვერაფერს რომ ვერ გახდებოდა, მეტყოდა, ხათუნა, ამას რამე უთხარიო. საკმარისი იყო, ერთხელ გადამეხედა და მეთქვა _ სოფიო! და მორჩილი ხდებოდა. ახლაც შენიშვნას რომ მივცემ, უკეთესად გაგეზარდეო, მეუბნება. ჩემი სოფო არის ადამიანი, ასმაგად რომ მიბრუნებს სიკეთეს. დღეს საკუთარი, ძალიან კარგი ოჯახი აქვს, უკვე დიდი გოგოა.

_ მამათა და შვილთა ბრძოლას ვერ მოვშლით და რა იქნება ხვალ?

_ არც უნდა მოიშალოს. პროგრესი არის ის, რომ არ შეიძლება დამყაყებული და ერთხელ ჩამოყალიბებული მორალით იცხოვროს საზოგადოებამ. სხვანაირად იგი ვერ განვითარდება. ცხოვრება ვითარდება, ბუნება გვეცვლება ირგვლივ, მთები სახეცვლილი დგანან, მდინარემ კალაპოტი იცვალა, სადაც ჭაობი იყო, დღეს ქალაქებია და მე, ადამიანი, რატომ უნდა ვიყო ყოველთვის ერთ აზრსა და მორალზე. დღეს ხშირად იშლება ოჯახები და ეს სწორედ იმიტომ, რომ არასწორად ასწავლეს თაობებს თავისუფლება. ცივილიზაცია სულაც არ ნიშნავს აღვირახსნილობას, როგორც ეს ბევრს ჰგონია ასე. იცით რა არის, ''ჩიტს აფრენა უნდოდა და ხელის აქნევას ელოდებოდაო'', ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ ჩვენი შეცდომები და წარუმატებლობა დროს დავაბრალოთ!

ოს შემცირება ისე სქესობრივი აქტის დროს ორგაზმის შემცირება და ხშირად მისი არარსებობა.

თუმცა ამ პროცესში გამაღიზიანებელი ხელოვნურად აღმგზნები სხვადასხვა ნარკოტიკული თუ ფიზიკური სექს-ინსტრუმენტები დადებით როლს ვერ შეასრულებს.

პირიქით, რაც უფრო ხშირად იქნება ისინი გამოყენებული, მით უფრო მალე დაიწყება მანკიერი წრის შექმნა, რადგან მათი ხშირი გამოყენება თავისთავში გულისხმობს ამ საშუალებათა თანდათანობით მეტი დოზით გამოყენებას. ხოლო გამაღიზიანებლის მაღალი ხარისხი საბოლოოდ ადამბლავებს კიდეც საჭირო ნერვულ დაბოლოებებს. აღნიშნული კი ხშირად გაუკუღმართებული, არატრადიციული სქესობრივი ურთიერთობის დამკვიდრებისა და გამრვლების მიზეზიც ხდება, განსაკუთრებით კი თავისუფლების მოყვარული ადამიანების ცხოვრების წესში, რაც ასე მტკივნეულად აისახება დღეს ჩვენს საზოგადოებაში. თუმცა, სიტყვა ''თავისუფალში'' უფლის ფუძედ გამოყენება დაფიქრებას მოითხოვს, რადგან იგი ნათლად მიგვანიშნებს თავისუფლების მცნებაში უფლის ნების გამოვლენის აუცილებლობასა და ღვთიურ არსთან ქართული ენის სიღრმისეულ თანაზიარობასაც. ამიტომ ამ პრობლემების კარგად გასააზრებლად აუცილებელია, ისევ ჩვენს სარწმუნოებას მივუბრუნდეთ.

ამ შემთხვევაში მახსენდება ჩვენი პატრიარქის ბრძნული რჩევები, სადაც ის ყურადღებას ამახვილებს ცოლ-ქმრის ფაქიზ სიყვარულსა და პატივისცემაზე დაფუძნებულ ურთიერთობაზე. ცხოვრების წეს-ჩვეულებაში კი მიუთითებდა, რომ სასურველია, ცოლ-ქმარს ცალ-ცალკე მოსასვენებელი სამინდელიც ჰქონდეს (რამაც მავანის არასწორი კრიტიკა და სჯა-ბაასი გამოიწვია), რათა მათ ჰქონდეთ გარკვეული თავისუფალი სივრცე, საჭიროების შემთხვევაში მოხდეს მათი განრიდება. მაგალითად, მარხვის, სხვადასხვა ემოციური თუ ფიზიკური გადაღლის დროს, რათა დროთა განმავლობაში ურთიერთობა მობეზრებითა და გულგრილობით არ გაუფერულდეს. აღნიშნული, თავის მხრივ, იწვევს კიდევაც სექსუალური ლტოლვის შემცირებას. ხოლო რაც შეეხება მარხვას, ეს კიდევ ერთი საჭირო ღვთიური ''ინსტრუმენტია'', რომელიც კი არ აშორებს, არამედ პირიქით, აახლოებს ერთმანეთთან ცოლ-ქმარს, რადგან ბადებს მონატრების გრძნობას, ხოლო მარხვის დასრულებისას დადასტურებულია ადამიანებში ტესტოსტერონის რაოდენობის მომატება. ისიც საგულისხმოა, როგორც გადაცემაში ითქვა, ჩვენი სარწმუნოება უშვებს შეღავათებს და არ ითხოვს წყვილმა მთელი მარხვის განმავლობაში კატეგორიულად უარი თქვას ამ ურთიერთობაზე. ამის მიუხედავად, მარხვა _ ეს ღვთის სახელით გარკვეული დათმენა და ეკლესიური ცხოვრება ღვთის მფარველობას ანიჭებს წყვილს და აუცილებლად ბადებს მათში მონატრების რეალურ განცდასა და გრძნობის განახლებასაც. თორემ ამ ახალ ეპოქაში, უარყოფითი ემოციებით დატვირთულ ჩვენს ცხოვრებაში, ნახევრად შიშველი ახალგაზრდების შემყურე მამაკაცმა, რთულია, წინა საუკუნეების მამაკაცის მსგავსად, ლტოლვა განიცადოს ქალის გრძელი სამოსიდან ქარის დაბერვაზე გამოჩენილ კოჭზე თვალის მოკვრისას. თუმცა ადამიანის ნერვული სისტემა და გრძნობათა ორგანოები თავისთავში ბევრ პარადოქსულ შესაძლებლობას მოიცავს, რომლის გამოვლენა, სწორედ ღვთის შეწევნით, პატივისცემას და სიყვარულზე დაფუძნებული ცხოვრების წესის შემთხვევაში არის შესაძლებელი. ამ მოსაზრებას ადასტურებს დიდი ფიზიოლოგის პავლოვის ერთი მოგონება, რომელიც შემდგომ მისი ბევრი კვლევის ინსპირაციის წყაროც კი გახდა.

ერთ დღეს დიდი მეცნიერი მატარებლით მგზავრობდა. გზა გრძელი იყო და დანიშნულ ადგილას მხოლოდ დილით უნდა ჩასულიყვნენ. ღამით დაძინებისას ერთ-ერთმა მგზავრმა შესჩივლა, რომ ძალიან უჭირდა გაღვიძება და მხოლოდ მისი ცოლი ახერხებდა ამას, ყურში ჩასჩურჩულებდა: ''გაიღვიძე, დრო მოვიდაო'', ისიც იღვიძებდა. დილით პავლოვსაც ჩაეძინა და მატარებლის გამცილებლის ხმამ გამოაფხიზლა, მაშინვე შეხედა მის თანამგზავრს, რომელსაც უკვე ხმამაღალი შეძახილებით უშედეგოდ აღვიძებდნენ. პავლოვს გაახსენდა კაცის ნათქვამი და ყურში ჩუმად ჩასჩურჩულა: ''გაიღვიძე, დრო მოვიდა!'' მგზავრიც ჩურჩულმა მაშინვე გააღვიძა, დიახ, ზოგჯერ სუსტი გამაღიზიანებელი ფაქტორი გაცილებით დიდ ეფექტს აღწევს, ვიდრე ძლიერი და უხეში! (აქ იმ ხელოვნურ გამაღიზიანებელ საშუალებებს ვგულისხმობ, რომლის შესახებაც ზემოთ ვწერდი).

დიახ, ღვთის ხატად და მსგავსად შექმნილ ადამიანს ყოველთვის გააჩნია ის სულიერი კარიბჭე, რომელიც მზად არის, ერთი შეხედვით გამოუვალ მდგომარეობაშიც კი, თავისი საზღვრები გააფართოოს, მართალსა და ჭეშმარიტს თავისი ადგილი მიუჩინოს და გაითავისოს. ამისათვის ადამიანს ოჯახში სწორი აღზრდა და საზოგადოებაში ჭეშმარიტი ღირებულებების არსებობა სჭირდება. ხოლო მავანის გასაგონად ვამბობ: ''ხელისუფლების ერთ-ერთ მთავარ დანიშნულებას ისიც წარმოადგენს, კარგი, მაღალზნეობრივი თვისებები განუვითაროს ერის ხასიათს''. _ წერდა სპენსერი.

ყველაფერი ხომ მოგწონთ დასავლეთის და იქნებ ამ ბრიტანელი ფილოსოფოსისა და სოციოლოგის გამონათქვამის სიბრძნეს ჩაწვდეთ და გაითავისოთ. მით უფრო, ყველანი ერთ ნავში ვსხედვართ და ახალ დედამიწას ვერ გამოიგონებთ!

თქვენ კი ჩემო საყვარელო ახალგაზრდებო, ონავრებო და მეამბოხეებო! მხოლოდ თავისუფლების ძახილითა და ბიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის ბრძოლით შორს ვერ წახვალთ, რადგან ყველა ბიოლოგიურ მახასიათებელს თავისი ზღვარდადებული პარამეტრები აქვს. მით უმეტეს იმ მოთხოვნილებებს, რომლის ტყვეობაში ბევრი თქვენგანი იმყოფება! მხოლოდ სულიერებას არ გააჩნია საზღვარი და ერთადერთს მას შეუძლია გამოასწოროს (მონანიებითა და აღსარებით) ადამიანის ფიზიკური ბუნების მიერ დაშვებული შეცდომებიც და დანაშაულიც. სწორედ ასეთ ურთიერთობაზე ბრძანდებდა უწმინდესი თავის ცნობილ გამოსვლაში. იმ ურთიერთობასა და იმ სიყვარულზე მიუთითებდა, რომელიც ნაზია და სათუთი, ''რომელიც სულგრძელია და ტკბილი, რომელსაც არ შურს, არ ქედმაღლობს, არ უკეთურობს, არ ეძიებს თავისას და არ მრისხანებს, ყველაფრის იმედი აქვს და ყველაფერს ითმენს, არასოდეს გადავა თავისას''.

დიახ, მართლმადიდებლური სარწმუნოება თავისი კანონიკური წესების, რჯულის კანონის დაცვის საშუალებით ადამიანის ფიზიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ-სულიერ შესაძლებლობებს იმ ფარგლებში ათავსებს, რომლებიც ადეკვატურია არსებული გარემო პირობებისადმი და ძალიან ახლოსაა ადამიანის ფიზიოლოგიურ ბუნებასთან.

ამავე დროს მართლმადიდებლობა ყველაზე უფრო დემოკრატიული გახლავთ სხვა სარწმუნოებათა შორის. არავის აძლევს ირგვლივ მყოფებზე რაიმე აღმატებულ ან უარყოფითი ზემოქმედების საშუალებას. განსაკუთრებული, დადებითი მნიშვნელობა აქვს სამედიცინო თვალსაზრისითაც. რაც ყველაზე მთავარია, იგი შეესაბამება ჩვენი ერის ტრადიციებს, და დადებითად მოქმედებს მის განვითარებაზე. დადებითად მოქმედებს მის როგორც სულიერ, ისე ფიზიკურ სიჯანსაღეზე, ასევე, არ იწვევს იმ ზემგრძნობიარე ანომალიურ გამოვლინებას, რომელიც საკმარისად ხშირად გვხვდება სხვადასხვა რელიგიურ სარწმუნოებასა თუ მით უფრო, სექტაში.

და ბოლოს, იქნება ჩვენთვისაც მოვიდა დრო, რომ გავითვალისწინოთ ყოველივე ზემოთ თქმული და გავიღვიძოთ.

ხოლო მეცნიერება, რომლის მეშვეობითაც ათეისტები სარწმუნოების დამარცხებას ცდილობდნენ, ძალზე ხშირად ამტკიცებს ურთიერთკავშირს სამეცნიერო მიღწევებსა და ბიბლიურ ჭეშმარიტებებს შორის. მაგალითად, ცოცხალი ორგანიზმების რიგითობა, ისე, როგორც ეს ბიბლიაშია მოცემული, მოსე წინასწარმეტყველის გამოცხადების მიხედვით, პალეონტოლოგებმა მხოლოდ ორი საუკუნის მეცნიერული კვლევისა და ძიების შემდეგ მოახერხეს დაემტკიცებინათ.

ამავე დროს, სამედიცინო გენეტიკის განვითარებამ ცხადყო უჯრედის ინდივიდუალობა და სინატიფე. ამიტომ სახეობიდან ახალი სახეობის წარმოშობის ევოლუციური თეორია წინააღმდეგობრივი აღმოჩნდა.

მაშასადამე, ყოველი ახალი სახეობის წარმოშობა ისევ ღვთიურ, შეუცნობელ, დამოუკიდებელ შემოქმედებით აქტად რჩება. ამავე დროს, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ადამიანი სულიერად დაკავშირებულია როგორც აწყმოსთან _ არსებულ პირობებთან, ისე წარსულსა და მომავალთან. ქვეყნის ეროვნული, ქრისტიანულ-მართლმადიდებლური სახე სწორედ ამგვარი განწყობილების შედეგია. რომელიმე ამ კავშირის გაწყვეტა არღვევს ცხოვრების რიტმს და ძარცვავს ადამიანს.

იპ საპანლელიძე,
ეკონომ, პუბლიცისტი,
ნოეოსფერის
აკადემიის წევრი

დასაქმების უცნაური და ინოვაციური იდეა

მას შემდეგ, რაც 29 წლის ასაკში მყოფმა ერთ-ერთმა ნიდერლანდელმა გონიერმა ახალგაზრდამ _ ჰენრიკ კ.- იმ სამსახურის ძებნაში რამდენიმე წელი უშედეგოდ დაკარგა, ერთობ უჩვეულო და ინოვაციური იდეა შეიმუშავა დასაქმებისა. მის მიერ შეთავაზებული მომსახურება გათვლილი იყო იმ ადამიანებისადმი, რომელთათვისაც დაძინება განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენდა: ღამით იგი ჯდებოდა კლიენტის საწოლთან და იწყებდა ზღაპრებისა და საინტერესო ისტორიების მოყოლას, და ამას აგრძელებდა მანამ, სანამ მისი კლიენტი ღრმა ძილს არ მიეცემოდა. იმისათვის, რომ ჰენრიკს ჩაძინებული კლიენტი არ გაეღვიძებინა, გაწეული სამსახურისათვის გასამრჯელოს აღების სპეციალური სისტემაც კი შეიმუშავა: კლიენტის ბინაში პირადი საბანკო ანგარიშის გარდა მაგიდაზე ტოვებდა სპეციალურ ბლანკს, რომელზედაც მითითებული იყო იმ დროის ზუსტი ხანგრძლივობა, რა ხნის განმავლობაშიც აგრძელებდა ერუდირებული ახალგაზრდა ზღაპრებისა და საინტერესო ისტორიების თხრობას თავისი კლიენტებისათვის. გარდა გამოძახების თანხისა, თითოეული წუთი თხრობისა ჰენრიკის კლიენტებს 1 ნიდერლანდული გულდენი უჯდებოდათ. ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ ესოდენ უჩვეულო პროფესიის მქონე ახალგაზრდის მუშაობის პრაქტიკაში არც ერთხელ არ დაფიქსირებულა ისეთი შემთხვევა, როდესაც კლიენტს მისთვის კუთვნილი თანხის ჩარიცხვა დაეგვიანებიოს მის პირად საბანკო ანგარიშზე.

Genia.Ge

სჭეკიერული დრესკოდი

კათოლიკური ეკლესიის საჭეთმპყრობელთან _ რომის პაპთან ოფიციალური შეხვედრის შემთხვევაში მანდილოსნებისათვის (მათ შორის უმაღლესი პოლიტიკური ფიგურებისთვისაც) მოქმედებს სპეციალური დრეკოდი (ჩაცმის დაწესებული სტილი). ასეთი მიღების დროს მანდილოსანი ვალდებულია შემოსილი იყოს გრძელმკლავიანი შავი ფერის კაბით, ხოლო თავსაბურავად კი გამოყენებული ჰქონდეს შავი ფერის _ მანტილია. სპეციალური დრესკოდის ტრადიციამ სათავე ჯერ კიდევ მაშინ აიღო, როდესაც დედამიწაზე არსებულ ქვეყნებში მონარქიული რეჟიმები იყო გაბატონებული. თუმცა კი არსებობს ისეთი შემთხვევაც, როდესაც ამ მკაცრი ტრადიციისათვის გვერდის აევლაა შესაძლებელი: რომის პაპთან ოფიციალური შეხვედრისას თეთრი სამოსითა და თეთრი მანტილიით გამოჩენის უფლება ენიჭება მხოლოდ და მხოლოდ იმ დედოფლებსა და პრინცესებს, რომლებიც _ კათოლიკეები არიან. მაგრამ ასეთი მოვლენა იშვიათობას წარმოადგენს, რადგან დღეისათვის ამ პრივილეგიით მხოლოდ შვიდი მანდილოსანი სარგებლობს მთელ მსოფლიოში.

Genia.Ge



ნელი გეგუჩაძის მონატრება

40 დღე გავიდა, რაც ზეციურ სასუფეველში გადაინაცვლე. შენმა წასვლამ ყველას გული გვატკინა. ყველასთვის მოსიყვარულე და მზრუნველი იყავი. დაგვიტოვე მწარე მოგონება. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ნათელი სული.

და ითნა გეგუჩაძე ლეგაძეთ

სამტრედიის ვეტერანთა საბჭო სამძიმარს უცხადებს ბატონ ალექსანდრე ბანძავას ოჯახს

ლიზ

გარდაცვალების გამო.

ნანა ჭედიასა და თემურ ნაცვლიშვილს!

გილოცავთ ბედნიერებას, შვილთა სიმრავლეს, მარადიულ სიყვარულს გისურვებთ. უფალი იყოს თქვენი და თქვენი ახლად შექმნილი ოჯახის შემწე და მფრაველი.

ძმის ბედნიერებას ვულოცავთ ჩვენს კოლეგას, ნათია ნაცვლიშვილსა და მის ოჯახს.

"სამტრედიის მაცნე"

ვულოცავთ!

ქალბატონ ლიზა კრავეიშვილს!

გილოცავთ დაბადების დღეს, უფალმა გაგაძლიეროთ!

ვეტერანთა რაიონული კაბინეტი

ლიზა კრავეიშვილს!

დაბადების დღეს გილოცავთ. წარმატებებს გისურვებთ, უფალი იყოს თქვენი შემწე!

"სამტრედიის მაცნე"

რევაზ კანდელაკს!

ჩემს საყვარელ შვილიშვილს, რევაზ კანდელაკს, ვულოცავ 25 წლის შესრულებას, იხარე და იდღეგრძელე, სიკეთე და სიხარული იყოს შენი ცხოვრების მეგზური!

ბებუა რევაზ კანდელაკი

ბატონ რაულ ხუჭუას!

ღვაწლმოსილ სამტრედიელს, მეგობრისა და მეგობრობის მცოდნესა და გამტანს, ჩინებული ოჯახის ღირსეულ თავკაცს დაბადების დღეს გილოცავთ. იხარეთ, იდღეგრძელეთ.

საზეიმოდ "სამტრედიელი"

უკუთვლის პროცესი _ "ეპიზოდი"

საყოველთაოდ ცნობილი პროცესი (ათი, ცხრა, რვა, შვიდი, ექვსი, ხუთი, ოთხი, სამი, ორი, ერთი _ სტარტი), რომელიც შეუცვლელად თან ახლავს ხოლმე კოსმოსური ხომალდების (რაკეტების) ნებისმიერ სტარტს, არც მეცნიერებისა და არც ასტრონავტების მიერ არ ყოფილა გამოგონებული. აღნიშნული პროცესის პრაქტიკაში დამკვიდრება დაკავშირებულია კინემატოგრაფიასთან. კერძოდ კი, 1929 წელს გერმანელი კინორეჟისორის _ ფრიც ლანგის მიერ გადაღებულ გერმანულ ფილმთან, სახელწოდებით _ "ქალი მთვარეზე", სადაც პირველად იქნა გამოყენებული ზემოაღნიშნული პროცესი, რომელიც თავის მხრივ, შემდგომ გადმოტანილი და ფართოდ დამკვიდრებული იქნა კოსმოსური ხომალდების კონსტრუქტორების მიერ.

Genia.Ge

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

მაცნე სამტრედიის

დირექტორი ბეჭან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა